№ 140

1877—1905

№ 140

ხუთშაბათი, 11 აგვისტო.

ხუთშაბათი, 11 აგვისტო.

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ივერია

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—13)

სავაჟო პროგიმნაზია ავლაბარში

ამ სამოსწავლო წლის დამდეგიდან **ავლაბარში გაიხსნება სავაჟო პროგიმნაზია**; ამჟამად იხსნება ორი მოსამზადებელი, I და II ძირითადი კლასები. ვისაც ჰსურს მიაბაროს სასწავლებლად თავისი ბავშვი ამ პროგიმნაზიაში, უნდა მიჰმართოს თხოვნით და თან დოკუმენტები წარუდგინოს ინსპექტორს. თხოვნა მიიღება ამ თვის 11 რიცხვიდან, კვირა-უქმე დღეებს გარდა, ყოველ დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე ავლაბარში, ზეგლიაროვის ქუჩაზე, საქალაქო სკოლაში (ალამურადოვის სახლში). სწავლის დაწყების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული. (3—1)

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში,
აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.

ფასი 30 კაპ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

კლასობრივი არითმეტიკა და ლოღიკა

—

მოგეხსენებათ, მკითხველო, რომ ჩვენში არიან ისეთი ბრძენი ,,მწერლები'', რომელთაც ასე მარტივედ და დაბიურად ესმით კლასთა ბრძოლის თეორია: საზოგადოების სხვადასხვა კლასებს ერთმანეთთან არსად და არაფერში საერთო არა აქვთ რა, ერთი კლასის ინტერესები მსჯელობის კანონების მხრივაც კი განსხვავდება მეორე კლასისაგან და ამიტომაც არავითარ ჭეშმარიტებას საყოველთაო ხასიათი არა აქვს,—ყოველგვარ ჭეშმარიტებას კლასობრივი ინტერესი აქვს საფუძვლად და, მაშასადამე, მოწინააღმდეგე კლასებისათვის საერთო ჭეშმარიტების არსებობა შეუძლებელია. ამგვარად არის თურმე ჭეშმარიტება ბურჟუაზიული და პროლეტარული, ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოვნება კლასობრივი, ლოღიკა და მათემატიკაც—კლასთა ბრძოლასთან შეთანხმებული...

ამგვარ „თეორიის“ ქადაგების მაგალითი რამდენიმე ვიცით ჩვენს მწერლობაში, მაგრამ დღეს მხოლოდ ერთს მოგახსენებთ, რომელსაც „მოგზაურის“ უკანასკნელ ნომერში გამოთქმულ ბაქი-ბუქთან აქვს კავშირი.

ამ, ესრედ წოდებულ, „ჟურნალის“ მეორე ნომერში სარედაქციო წერილია დაბეჭდილი, რომელშიაც შემდეგ სტრიქონებს ამოიკითხავს მკითხველი: „ერის უმრავლესობა,—აი, ვის მივმართავთ ჩვენ. იმ უმრავლესობას, რომელიც ერის სიმდიდრესა და დიდებას ჰქმნის და თითონ კი ამ სიმდიდრისგან ნაფიჩხებილა რჩება; იმ უმრავლესობას რომელიც ტანჯვითა და წვალებით იწვრთნება ახალი ცხოვრების მოსაგვარებლად, რომელიც სწორედ ამიტომ წინ იყურება...ვინ არის ეს უმრავლესობა? ერის ის ნაწილი, რომელსაც ცხოვრებამ ხელიდან **ყოველივე ქონება გამოაცალა, ცხოვრების სახსრად მას მარტოოდენ სამუშაო ძალა შერჩენია** და ამ ძალით **ანვითარებს მრეწველობას**, ჰქმნის სხვისთვის სიმდიდრეს, ზრდის ერის კულტურულ ძალას. ის მწარმოებელია, **ყოველსავე საწარმოვო იარაღებს მოკლებული**... თქვენ წინ დევს ჟურნალი „მოგზაური“: გაიხსენეთ და წარმოიდგინეთ, რამდენი კაცის შრომა ურევია შიგ გაიხსენეთ ქაღალდის ქარხნის მუშები, ამ ქაღალდის გადა ტანნი და სხვა...

იქნება თქვენ გაგიკვირდეთ, რომ პროლეტარული «მოგზაური» ქართველ ერის დასახასიათებლად «ქაღალდის ქარხანასა» და «ქაღალდის ქარხნის მუშებს» ახსენებს, თუმცა ჩვენში არცერთი ქაღალდის ქარხანა არ მოიპოვება და ამიტომ არც ერთი ქაღალდის ქარხნის მუშა არ არის. მაგრამ რაც თქვენთვის გასაკვირველია, ის «მოგზაურისთვის» საანბანო ჭეშმარიტებაა და თქვენ, „რასაკვირველია“ ვერ მისწვდებით მსჯელობის განსხვავებულ კანონებით შემუშავებულ «ჭეშმარიტებას» „მოგზაურისას“...

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ჩვენ მაინც სხვა სახსარი არა გვაქვს, თუ არ „კლასობრივი კანონები გონებრივ შემეცნებისა“, და ამიტომ მხოლოდ ჩვენებურად შეგვიძლია გავიგოთ ზემოდ ამოწერილი ადგილი „მოგზაურიდან''. ჩვენის აზრით, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ,,მოგზაურის'' რედაქცია მეორე ნომერში ქართველ პროლეტარიატს მიმართავდა: სწორედ ის, ვისაც ,,მარტოოდენ სამუშაო ძალა შერჩენია'', ,,ყოველივე ქონება ხელიდან გამოცლილი აქვს'', ,,საწარმოვო იარაღები'' არ მოეპოვება, ვინც თავის „ძალით მრეწველობას ავითარებს“,—პროლეტარია, მრეწველობაში მომუშავე და დღიურ ქირით თავის მრჩენელი. ასე გაიგებს ამ ადგილს ყველა, ვისაც „მოგზაური“-სებური განსაკუთრებული კანონები არა აქვს გონებრივი მსჯელობისა. გაიგებს ამგვარად,—რომ, „მოგზაურს“ სამრეწველო პროლეტარიატი მიაჩნია ქართველ ერის უმრავლესობად.

ჩვენც ასე გავიგეთ ეს ადგილი და, უნდა გამოვტყდეთ, როცა პირველად წავიკითხეთ, გვინდოდა ერთი ეგზემპლიარი „კავკასიის კალენდრისა“ ძღვნად გაგვეგზავნა „მოგზაურის“ რედაქციისათვის. თუ, მაგალითად, წრევანდელ კალენდარს გადაშლით, ნახავთ, რომ მუშათა საერთო რიცხვი ბათომის ოლქსა და ტფილის-ქუთაისის გუბერნიაში შეადგენს სულ 21,403-ს. ამ რიცხვში ნაანგარიშევია ის მუშებიც, რომელნიც ნახევრად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობენ და საფაბრიკო-სამრეწველო მუშებად ვერ ჩაითვლებიან. იმავე რიცხვში ჩათვლილნი არიან როგორც ქართველები, ისე სომხები, თათრები, აისორები და მრავალი კიდევ სხვანი, ასე რომ იმ 21 ათასს მარტო ქართველები არ შეადგენენ. მაგრამ ყველა ამას ნუ მივიღებთ მხედველობაში და ვთქვათ, რომ ის 21 ათასი მუშა ყველა პროლეტარია, სამრეწველო მუშაა და ეროვნებითაც ქართველია ვთქვათ, თუნდა ისიც, რომ ამ რაოდენობის ნახევრის ოდენა რიცხვი ქართველ მუშებისა საქართველოს გარედ არიან მუშებად. მაშინაც ჩვენებურის არითმეტიკით ქართველ პროლეტარიატის რიცხვი არ შეადგენს 1½ მილიონიან ქართველ ერის უმრავლესობას.

ამას ამბობს ჩვენებური არითმეტიკა. მაგრამ პროლეტარული „მოგზაური“ „ბურჟუაზიულ ანგარიშით“, რასაკვირველია, ვერ იხელმძღვანელებს და ამიტომ ჩვენც ხელი ავიღეთ ჩვენს განზრახვაზე და „კავკასიის კალენდარი“ და არც სხვაგვარი სტატისტიკის წიგნი აღარ გავუგზავნეთ. არ გავუგზავნეთ, რადგან ვიცოდით, რომ თვითონ „მოგზაურის“ რედაქციამ თავისით იცის ყველაფერი,—მას ხელში უპყრავს ისეთი უფრჩხილო მეცნიერება (და არა ,,ივერიის''-სებური ფრჩხილებიანი ,,მეცნიერება''), რომელიც საჭიროდ არ ხდის არავითარ ანგარიშს და ჩვენს ადგილობრივ ცხოვრებაზე დაკვირვებას. ვინაიდან ყოველგვარ ჭეშმარიტებას კლასობრივი ხასიათი აქვს, ცხადია, ,,მოგზაური'' სხვის სტატისტიკურ ანგარიშსა და გამოთვლას ვერც მიიღებდა.

მაგრამ გავიდა ხანი, და ერთმა ,,მოგზაურისავე'' ორგანომ უღალატა „მოგზაურს“ და მისი „უმრავლესობა“ უმცირესობად აქცია... მან დაუფარავად გამოაცხადა ის, რაც ბავშვისთვისაც კი ცხადი და ნათელია,—რომ ის ჯგუფებიო, რომელთა ინტერესებს იცავს ჩვენი პარტია, ქართველ ერის უმცირესობას შეადგენენო... ამგვარად „ბურჟუაზიულმა არითმეტიკამ“ პროლეტარულ წრეშიაც გაიმარჯვა და ,,დასელთა'' ერთ ნაწილს ,,ბურჟუაზიულის არითმეტიკით'' გამოთვლილი უმცირესობა ,,პროლეტარულის ანგარიშითაც'' უმცირესობად აღიარებინა...

ჩვენ ეს ამბავი აღვნიშნეთ ამას წინად,—ვთქვით, რომ ,,მოგზაური'' ცოტათი ,,იანღლიშად'' მოუვიდა თავისთვის „უმრავლესობის“ გამოთვლის ანგარიშშიო...

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ,,მოგზაურს'' უცდომელი მეცნიერება უპყრავს ხელში და აბა როგორ დაგვეთანხმებოდა, რომ მას შეცდომა მოუვიდა და თავისი აუდიტორია ძალად გაჰბერა! პირიქით, იგი ჩვენ პასუხს გვაძლევს და, წარმოიდგინეთ, ჩვენვე გვფახავს და ,,ბურჟუაზიულ იდეოლოგის'' სახელით გვაქარწყლებს. გთხოვთ წაიკითხოთ: „ახირებული ლოღიკისა და ბაგაჟის პატრონი ყოფილა (დახეთ!) ,,ივერიის'' ,,მეცნიერი'' ხელმძღვანელი,—სწერენ ისინი.—,,მოგზაურის'' მიმართულების ერთ ორგანოში ამოუკითხავს მას გასაოცარი (მისთვის და მხოლოდ მისთვის!) ამბავი... ბატონო მეცნიერო და ლოღიკას დაუშრეტელო წყაროვ... თუ რამე გისწავლიათ და გაგიგონიათ... გაიგებთ, რომ... ყველასათვის აშკარაა, რომ დღეს მესაკუთრენი და მით ბურჟუაზიულ პსიხოლოგიის მქონენი შეადგენენ უმრავლესობას... თქვენ და ძმანი თქვენნი ბურჟუა-იდეოლოგები ბრძანდებით, მაგრამ... ნუ თუ დღემდის არ იცოდით, რომ დღევანდელ საზოგადოებაში დემოკრატები შეადგენენ უმრავლესობას და არა სოციალ-დემოკრატები?..“

ჩვენში ბევრ კაცს ეტყვიან ხოლმე: ენა რომ არ გქონდეს, ყვავი წაგიღებდაო. არ შეიძლება ეს თქმულება არ გაგახსენდეთ, როცა ამ ბაქი-ბუქობას წაიკითხავთ. თვითონ ,,მოგზაურის'' რედაქციამ ახლახან გაიგო, რომ მისგან აუდიტორიად არჩეული ნაწილი ქართველი ერისა, რომელიც მას ერის უმრავლესობის შემდგენელი ეგონა, ნამდვილად უმცირესობა ყოფილა, და თავის უვიცობას ჩვენ გვახვევს თავზე და ჩვენვე გვიკიჟინებს,—ჩვენი მცირე ნიადაგი თქვენ ამდენხანს არ გცოდნიათო!.. და ამას შემდეგ როგორ არ ვთქვათ, რომ ,,მოგზაურის,‘ რედაქცია მართლა დატვირთულოღიკითაც და გონებრივ ბაგაჟითაც!..

ამ ,,მოგზაური მარტო ამას არ დაუფიქრდა, თავის წაჯიქ-უკუჯიქობის დასრავად, ჩვენვე ,,გამოლმა გამოგვედავა''. იგრომასაც გვასწავლის, თუ ვის ჰქვია სამეველო პროლეტარი. იგი სწერს: „ან რა წინააღმდეგობაა მეორე №-ისა და იმ ორგანოს წერში მით, რომ „მოგზაურს“ უთქვამს: ჩვენი ანია უმრავლესობის სამსახურიო. ნუ თუ ესეხალი ამბავია თქვენთვის, ბრძენო ეკონომო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ერის უმრესობა დღეს ბურჟუაზიულია თავისი მდგრეობით, იგი მაინც გაფცქვნილი და გაყვლეფილია უმცირესობისაგან. ნუ თუ არ იცით (აბა ჩვენ როგორ გვეცოდინება!), რომ გლეხი ზთავის-თავად ბურჟუაზიული ელემენტია, მაგრამ მაინც გაყვლეფილია''?

თხველი თუ ცოტათი მაინც დააკვირდება, დაიავს, რომ ,,მოგზაურის'' რედაქციას ისიც კი ენდოვნად ჰქონია წარმოდგენილი, თუ ვინ არის სამრეწველო მუშა—პროლეტარი და ვინ არის გლეხი. თავის ,,უმრავლესობის'' ნიშნად დასახა ,,ყოველივე ქონების გამოცლა'', ,,ყოველივე საწარმოვო იარაღების მოკლება'', ,,მარტოოდენ სამუშაო ძალის შერჩენა'', ამ ძალი ,,მრეწველობის განვითარება'', ერთის სიტყვით, თავის უმრავლესობის ნიშნებად ჩამოსთვალა თითქმის ყველაფერი, რაც სამრეწველო პროლეტარს ახასიათებს, ხოლო დღეს წარბშეუხრელად გვეუბნება: ამ განსაზღვრაში ჩვენ გლეხობასაც ვგულისხმობთ, რადგან მიწის მესაკუთრე გლეხიც ბურჟუაზიულ წესწყობილებისაგან გაფცქვნილ-გაყვლეფილიაო''!.. მოდით და მოწყებით თავს ნუ მოიხრით ასეთ ,,ბაგაჟიანების წინაშე!..

,,მოგზაურის'' რედაქცია ასეთ გონებრივ მარგალიტებით არის ტვირთმძიმე და ამიტომაც არაად მოსწონს სხვისი ,,ბაგაჟები''. ოღონდაც სად ასეთი ნათელი მოაზრენი და სად—,,ბურჟუაზიული იდეოლოგები''...

დღვანდელი მოძრაობა და სხვადასხვა კლასთა მისწრაფებანი

ცვერება აღელდა, საზოგადოების ყოველი წრე მოძრავდა, ყველას მომავლისაკენ მიუპყრია თვალები და ყველა თავისებურად ცდილობს, მომავლის სურათის დახატვას და თვის წვლილის შეტანას საერთო მოძრაობაში ამ მომავლის დასამკვიდრებლად. მშიშარამ გული მოიცა, ურჩო ალაპარაკდა,—ყველას მეთაურობა უნდა, ყველა თავისკენ იწვევს ერის პროგრესიულ ელემენტებ მე გამომყევით, აქეთ წამოდითო. ყველას ახალ წყობილება უნდა, მაგრამ ეს და ახალი წყოლება ყველას სხვადასხვა ნაირად ესმის და ყველ სხვადასხვა ცვარის იმედებით შესცქერის ამ მომავალს. გამორკვევა იმისი, თუ რას უნდა მოველოდეთ დღევანდელ მოძრაობისაგან და საით უნდა მივესწრაფოდეთ, არასოდეს არა ყოფილ ისე საჭირო, როგორც დღეს.

დღევანდლამდე, სოფლის გლეხობა კლასთა ბრძოლის გარეშე იდგა ან, უკეთ რომ ვთქვათ, ის ეუკა ცხოვრობდა კლასთა ბრძოლის პირობებში, მაგრამ ბრძოლით არ იბრძოდა: იარაღი დაყრილი ჰქონდა, საწველ ფურივით წყნარადიდგა თავ-ჩაქინდრული და მასაც სრულიად მურიდებლად სწველავდნენ. დღეს გლეხობამაც გაითვალისწინა თვისი მდგომარეობა, შეიგნო კლასთა ბრძოლის აუცილებლობა და საჭიროება და კიდეც გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე, დიდი იმედებითაც გამოვიდა. სინამდვილემ რომ სასოწარკვეთილებაში არ ჩააგდოს გატაცებულ გლეხობა, საჭიროა ახლავე შევუდგეთ იმის გამორკვევას, თუ რისი იმედი უნდა ჰქონდეს გლეხკაცობას, საითკენ უნდა მიისწრაფოდეს ის და როდის შეეძლება მას გამარჯვება იდეალსაწყიულოს.

ჩვენ ყველა ვცხოვრობთ განსაზღვრულ სახელმწიფოში, ვექვემდებარებით განსაზღვრულ კანონებს ანუ სამართალს. რა არის სამართალი? რა არის სახელმწიფო? ამ კითხვებს იკვლევდნენ საფრანგეთის მწერლები დიდ რევოლიუციის წინ. ამგვარმა კვლევამ მიიყვანა ისინი იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო ხალხის, მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შეთანხმებაა, პირობა ერთმანეთ შორის! კანონი, ანუ სამართალი პირობით შეკრულ მოქალაქეთა საერთო ნების გამოხატულებაა. აქედან ცხადი იყო შემდეგი დასკვნა: თუ კი არსებული რეჟიმი არ ვარგა, მის ნაცვლად მოქალაქეებმა საერთო შეთანხმებითა და საერთო ნებით უნდა დააარსონ ახალი წყობილება.

ამგვარ დასკვნაში სრულებით უარყოფილია კლასთა ბრძოლის პრინციპი და წამოყენებულია მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლა. საფრანგეთის განმანათლებელთ პოლიტიკური ბრძოლა მიაჩნდათ იმ ერთად ერთ და ყოვლად მხსნელ საშუალებად, რომელიც საერთო და თანასწორ ბედნიერებას ანიჭებს ყველას, განურჩევლად წოდებისა და ქონებისა. მეთაურებიცა და მებრძოლნიც გაიტაცა მხოლოდ პოლიტიკურმა ბრძოლამ, ბევრი სისხლი დაიღვარა და ბოლოს?—ბოლოს გამარჯვების ველზე სავსე სუფრას ბურჟუაზია შემოუსხდა და ხალხს კი პირში ჩალა გამოავლო!

რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ ხალხი პოლიტიკურ ბრძოლაში ხედავდა თავის ხსნას და მან სრულებით დაივიწყა თვისი ეკონომიური მდგომარეობა, სრულებით დაივიწყა, რომ მძლავრი კლასი მშიერ კლასის მეგობარი არასოდეს არა ყოფილა და არც იქნება; ხალხმა სრულებით ვერ შეიგნო, რომ პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად მისთვის საჭირო იყო კლასიური ბრძოლაც. მართალია, რევოლუციამ ხალხსაც მოუტანა სარგებლობა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის გამოცხადებით, სადაც აღიარებულია სრული თანასწორობა და თავისუფლება როგორც პიროვნების, ისე სიტყვის, წერის, სარწმუნოების, კრების, კავშირების და სხ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ხალხმა ამდენი სისხლი დაღვარა, უფლება ჰქონდა, მეტი ნაყოფი მოეპოვებინა, უკეთ მოეწყო თავისი ეკონომიური მდგომარეობა და თუ ეს ასე არ მოხდა, თუ ბურჟუაზიამ უკეთ ისარგებლა რევოლუციით, ამის მიზეზი იმ გარემოებაში იმალება, რომ ხალხს გაუთვალისწინებელი, შეუგნებელი ჰქონდა კლასიური უთანხმოება და კლასთა ბრძოლის მნიშვნელობა.

მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა. ამ დროს განმავლობაში ბევრი რამ განიცადა ხალხმა და გამოცდილებამ მას ბევრი რამ ასწავლა. თუ საფრანგეთის განმანათლებელთ სახელმწიფო ადამიანთა ნებაყოფლობით კავშირად მიაჩნდათ, დღეს ხალხისათვის მაინც ცხადი უნდა იყოს, რომ სახელმწიფო არის მხოლოდ ურთიერთობა სხვადასხვა კლასთა შორის და სამართალი კი გამოხატულებაა და დაკანონება უმცირესობის ბატონობისა და უმრავლესობის მონობისა, უმცირესობის ფუფუნებისა და უმრავლესობის ტანჯვაწვალებისა, უმცირესობის ბედნიერებისა უმრავლესობის უბედურებაზე. დედამიწის ზურგზე არა ყოფილა და არც დღეს არის არც ერთი სახელმწიფო, რომელიც ასე არა ყოფილიყოს აგებული; კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია არსად არც ერთი სახელმწიფო, სადაც ხალხის უმეტესობა ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობის უღელში არა ყოფილიყოს შებმული და უმცირესობა კი უღელზე არ ასკუპულიყოს ზორბა კეტით შეიარაღებული.

ავიღოთ დღევანდელი სახელმწიფო და განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს ის. აქ ერთ მხარეზე დგანან: ბიუროკრატია, მემამულეთა კლასი, სამღვდელოება, ბურჟუაზია,—მეორე მხარეზე კი ხალხი, რომელსაც უმთავრესად შეადგენენ მიწის მუშა და პროლეტარიატი. პირველ მხარეზე მდგომნი ფუფუნებაში და სრულს მატერიალურს კმაყოფილებაში ცხოვრობენ და ცხოვრობენ სხვისის ოფლით,—ხალხის ოფლით. მეორე მხარეზე მდგომნი კი სრულს სიღატაკესა და ათასგვარ გაჭირვებაში ატარებენ თავის შავ დღეებს და სხვების კეთილდღეობის იარაღად არიან გადაქცეულნი. ცხადია, ამ ორ სხვადასხვა მდგომარეობაში და სხვადასხვა ეკონომიურ პირობებში მცხოვრებ ჯგუფთა, ანუ კლასთა საზოგადოებრივი ინტერესები და სოციალური მისწრაფებაც სრულებით სხვადასხვა არის.

დავანებოთ დღევანდელ საზოგადოების კონსერვატიულ ჯგუფებს თავი და მივმართოთ ოპოზიციონურ, პროგრესიულ ჯგუფებს. ესენი არიან: ბურჟუაზია, პროლეტარიატი და სოფლის გლეხობა. გადავავლოთ თვალი მათს ცხოვრებასა და ინტერესებს.

დღევანდელი დრო, ფულის დრო არის. ფული გახდა პატარა ღმერთად, როგორც ჩვენი ხალხი ამბობს ხოლმე, და დღეს ძალა და კეთილი ცხოვრებაც მისია, ვისაც ეს პატარა ღმერთი სწყალობს. დღეს ფულის პატრონი ბურჟუაზიაა, ამიტომ ამ კლასს ძალაც შესწევს და არც ერთი კლასის ცხოვრება არ არის ისეთ სანეტარო პირობებში ჩაყენებული, როგორც ბურჟუაზიის ცხოვრება. აქედან თავის თავად ცხადია, რომ ბურჟუაზიის საბოლოო მიზანია ბურჟუაზიული წყობილება. ბურჟუაზიული წყობილება დიდი ხანია დამყარდა რუსეთში და ის თანდათან ფეხს იმაგრებს ჩვენშიაც. მაშ რაღად ებრძვის ბურჟუაზია არსებულ რეჟიმს? ფეოდალურ-ბიუროკრატიული წესწყობილება ბურჟუაზიის განვითარებას ხელს უშლის და ამ რეჟიმის მოსპობით ბურჟუაზია თვითონ ხდება ცხოვრების ბატონ-პატრონი. არსებულ რეჟიმის შეცვლით ბურჟუაზია განამტკიცებს ბურჟუაზიულ წყობილებას. ეკონომიურად გაბატონებული კლასი, ადრე თუ გვიან, პოლიტიკურადაც უნდა გაბატონდეს. ბურჟუაზია დღეს ეკონომიურად გაბატონებულია, მას აკლია პოლიტიკურად გაბატონება; პოლიტიკურ ძალას ის ხელში ჩაიგდებს არსებულ რეჟიმის შესაცვლელად,—აი ეს არის მისი საბოლოო მიზანი.

სულ სხვაა პროლეტარიატი. მას საქმე არსე-

ბულ რეჟიმთან კი არა აქვს მხოლოდ, არამედ ბურჟუაზიისთანაც; პროლეტარიატის საბოლოო მიზანი არსებულ რეჟიმის შეცვლა კი არ არის, არამედ ბურჟუაზიული წყობილების სრული დამხობა და სოციალიზმის დამყარება. არსებულ რეჟიმის შეცვლა კი მხოლოდ იმიტომ უნდა პროლეტარიატს, რომ არსებული რეჟიმი მას უკიდურესად უშლის ხელს ბურჟუაზიასთან ბრძოლაში. ამგვარად, არსებულ რეჟიმის შეცვლა სულ სხვადასხვანაირად აინტერესებს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს ანუ მუშათა კლასს: პირველისათვის არსებულ რეჟიმის შეცვლა მიზანია, მეორისათვის კი მხოლოდ საშუალება ბურჟუაზიასთან ბრძოლის უკედ მოსაწყობად; პირველს არსებულ რეჟიმის შეცვლით უნდა პოლიტიკურად გაბატონება, მეორეს კი არსებულ რეჟიმის შეცვლით უნდა ბურჟუაზიის დამხობის მოახლოება.

გლეხობა ჯერ-ჯერობით არ წარმოადგენს შეგნებულად მომქმედ კლასს. საზოგადოებრივ ცხოვრების აუცილებელი მსვლელობა მას სოციალიზმისაკენ მიერეკება, მაგრამ გლეხობას ეს დღეს-დღეობით არ ესმის, ის სოციალიზმზე არც ჰფიქრობს, არცა ზრუნავს და არსებულ რეჟიმის შეცვლით მას სურს თავის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება. პირველ ხანებში არსებულ რეჟიმის შეცვლით გლეხის ეკონომიური მდგომარეობა მცირეოდნად გაუმჯობესდება. მაგრამ ჩვენი გლეხი თუ ამით დაკმაყოფილდა, ფრიად შემცდარი იქნება და მოტყუებულიც დარჩება. არსებულ რეჟიმის შეცვლით ბურჟუაზიულ წყობილების განვითარებას ფართო გზა დაეთმობა; ამ პირობებში კი შეიძლება მცირე ნაწილმა გლეხობისამ რიგიანად მოაწყოს თავისი ეკონომიური ცხოვრება, ხოლო უმეტესობა სიღატაკესა და გაჭირვებას თავს ვერ დააღწევს,—ბურჟუაზიულ წყობილებაში გლეხის კეთილდღეობა და ეკონომიური კმაყოფილება შეუძლებელია. ამიტომ, ადრე თუ გვიან, გლეხობა შეიგნებს, რომ მისი ხსნა სულ სხვაგვარ წყობილებაშია და პროლეტარიატს შეუერთდება. დღეს კი ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ არსებული რეჟიმის შეცვლა არ არის და ვერც იქნება გლეხობის საბოლოო მიზანი. ამგვარი შეგნება უსათუოდ უნდა შევიტანოთ გლეხობაში, თუ გვინდა, რომ ის, რაც შეიძლება, ჩქარა ამოუდგეს გვერდში მუშათა კლასს. ამგვარად, ცხოვრების აუცილებლობა სულ სხვადასხვა მიზნისაკენ მიერეკება ამ პროგრესიულ ჯგუფებს: ბურჟუაზია და პროლეტარიატი მოქმედებენ შეგნებულად, სოფლის გლეხობა—შეუგნებლად, ბურჟუაზიის მიზანი სრულებით სხვა არის, პროლეტარიატისა და გლეხობისა—სულ სხვა. პროლეტარიატი შეგნებულად ემსახურება თავის მიზანს, გლეხობას კი ჯერ-ჯერობით შეგნება აკლია, მაგრამ კაპიტალიზმის განვითარება მასშიაც განავითარებს ამგვარ სოციალისტურ შეგნებას. ის, რასაც ბურჟუაზია ემსახურება, სრული უარყოფაა პროლეტარიატისა და გლეხობისა, ხოლო ის, რასაც პროლეტარიატი ემსახურება შეგნებულად და გლხობა—შეუგნებლად, სრული უარყოფაა ბურჟუაზიისა.

ამგვარად, ხალხის საქმე იწყება იქ, სადაც ბურჟუაზიისა თავდება. არსებულ რეჟიმის შეცვლით ბურჟუაზია სრულ ბატონად ხდება, მუშა ხალხი და გლეხი კი ისევ სხვის მოსამსახურედ რჩებიან; არსებულ რეჟიმის შეცვლით ბურჟუაზია სრულ პატრონად და მესაკუთრედ ხდება სხ ნაოფლარისა, მუშა ხალხი და გლეხი კი ი გაყვლეფილთა რიცხვში რჩებიან. არსებულ ჟიმის შეცვლით ბურჟუაზია იდღესასწაულ სრულს თავის გამარჯვებასა და გაბატონებ არსებულ რეჟიმის შეცვლის შემდეგ მუშა გლეხი უფრო თამამად, უფრო გულადად გამ ლენ ბრძოლის ველზე და გამარჯვება მხოლ მაშინ უნდა იდღესასწაულონ, როცა სრულე დაამარცხებენ ბურჟუაზიას და, ამის მიერ შექმნ ძარცვა-ყვლეფისა და მუქთახორობის პარპაშ ბის მაგიერ, დაამყარებენ ეკონომიურ თანასწ რობას...

ი. გომართელი

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისა

7 აგვისტო.

პეტერბურგი, 9 აგვისტო. უმთავრესმა სამხ რო სასამართლომ გაარჩია საქმე ფინლიანდელის კ ლის პროკოპესი, რომელსაც ვიბორგის ჟანდარ პოდპოლკოვნიკის მოკვლა ბრალდებოდა, და ჩამო ხრჩობა გადაუწყვიტა. ნაფიც ვექილის თანაშემწე, ტრ ტეროვი, კასაციის უფლებას თხოულობდა, მაგ უმთავრეს ბრალმდებლის თანაშემწემ ეს თხო უყურადღებოდ დასტოვა.—უმთავრეს სამხედრო სა მართლოში 9 აგვისტოსთვის დანიშნული საკასაც საქმე აზნაურის კულიკოვსკისა, რომელსაც მოსკო საოლქო-სამხედრო სასამართლომ გრაფ შუვალო მოკვლისთვის ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, 11 აგვ ტოსთვის გადაიდო.

ბელგრადი, 9 აგვისტო. მარკასის მახლობლ ბულგარელებს და სერბებს შეტაკება მოუვიდ: ბრძოლა სამს საათს გაგრძელდა. ბულგარელებს, რო ლებმაც უკან დაიხიეს, 30 კაცი მოუკლეს.

იოჰანესბურგი, 8 აგვისტო. აქ ბაზუტოსებ საერთო აჯანყებისა ძალიან ეშინიათ. აჯანყების მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის უთანხმოება, რო ლიც მათ ლეტეროდის სიკვდილის შემდეგ მის მ კვიდრეობაზე მოსდით. შეიარაღებულთა რიცხვი 500 კაცზე მეტია.

სოფია, 8 აგვისტო. სერბიის კონსტანტინოპ ლელმა ელჩმა, სიმიჩმა, პორტას გადასცა ნოტა, რ მელშიაც ძველ სერბიაში სერბელების უკიდურ მდგომარეობაა აღნიშნული. სიმიჩი აღნიშნავს ახლ დაარსებულ ალბანელებთა ლიგის მოქმედებას, რომ საც აზრად სერბების ამოწყვეტა აქვს.

კრემენჩუგი, 9 აგვისტო. აუარებელი მაღაზი გადაიწვა. ზარალი თორმეტ ათას თუმანს აღემატე

ვილნა, 9 აგვისტო. ისრაელ პერსიონმა, რ მელსაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, საკასაც თხოვნა შეიტანა.

ბრესტ-ლიტოვსკი, 9 აგვისტო. რკინის გზ სადგური ვარშავისკენ მატარებლებს აღარ გზავნის ამიტომ სამხრეთიდან გამოგზავნილი საქონელი ს აქა რჩება და ფასებში ძალიან იკლებს.

სარატოვი, 9 აგვისტო. „სარატოვის დნევ კ“-ი იუწყება, რომ ტიხორეცკის სადგურზე ფოს ტელეგრაფის მოხელეებს ერთმანეთის თანხმობ ფოსტიდან სხვადასხვა ნივთები და ფული უპარნია რვა მოხელე დაატუსაღეს.

სედლეცი, 9 აგვისტო. 6 აგვისტოს, სოკოლო ში სასიკვდილოდ დასჭრეს უფროსი სტრაჟნიკი ტ ტლოვი. ტიტლოვმა მკვლელი დაასახელა. მკვლელ ებრაელია. დაატუსაღეს რამდენიმე კაცი. სედლეც მაზრაშივე, 8 აგვისტოს, დასჭრეს სტრაჟნიკი მაქსიმიუკი.

ვერხნედნეპროვსკი, 9 აგვისტო. ცეცხლი გაუჩნდა და გადაიწვა მთელი სოფელი ალექსანდროვკა. ზარალი დიდია. აუარებელი ხალხი უსახლ-კაროდ და უღუკმო-პუროდ დარჩა. კომიტეტი შემოწირულებას აგროვებს.

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. როგორც ხმა დადის, ვენეცუელას ევროპაში 25 მილიონ დოლლარის ნაღმიანი გემები, იარაღი და სხვა სამხედრო მასალა შეუკვეთია. სამხედრო საქმეებზე რესპუბლიკას ამოდენა ფული არასოდეს არ დაუხარჯავს.

ნიუ იორკი. კარაკასიდან მოსული ერთი ამერიკელი იუწყება, ვითომც პრეზიდენტ კასტროს გამოუცხადებინოს იმისთვის, რომ ახლო მომავალში შეერთებულ შტატებთან ბრძოლა მოგვიხდებაო.

კონსტანტინოპოლი, 9 აგვისტო. აუარებელი სომხები დაატუსაღეს. ეშინიათ, რომ სულთანის ტახტზე ასვლის დღესასწაულის დღეს, კიდევ არაფერი ისროლონ. სომხებს აკლებისა ძალიან ეშინიათ და გავლენიან ევროპიელებს დახმარებას სთხოვენ.

რიგა, 9 აგვისტო. სტოლბოვოის ქუჩის კუთხეში გუშინ, საღამოს რვა საათზე, მოჰკლეს პოლიციელი. მკვლელი მიიმალა.

სოფია (სპ. კორესპ.). სმირნაში მომხდარმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ შეთქმულობის თანახმად, უნდა აეფეთქებინათ გენერალ-გუბერნატორის სახლი, ორივე ვოგზალი, ოტომანის ბანკი და გაზის ქარხანა. ტახტზე ასვლის დღესასწაულის გამო, 14 ენკენისთვეს, გენერალ-გუბერნატორისთვის უნდა მიერთმიათ კედლის საათი, რომელშიაც ასაფეთქებელი მანქანა უნდა ყოფილიყო დამალული. მექანიზმის აფეთქებას დანიშნულ შენობების აფეთქება უნდა მოჰყოლოდა. უკვე 115 ყუმბარა, სამი ასაფეთქებელი მანქანა და აუარებელი დინამიტი იპოვნეს. შეთქმულებს კონსტანტინოპოლსა და სალონიკშიაც ჰყავთ მომხრენი.

ოდესა, 9 აგვისტო. სამხედრო სასამართლომ დრუჟას უვადო კატორგა გადაუწყვიტა. დრუჟას პოლიციელის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა.

სიმფეროპოლი და ბარისოვი, 9 აგვისტო. „სახელმწიფო სათათბიროს“ შესახებ გამოცემულმა მანიფესტმა ორივე ქალაქის მცხოვრებლები გაამხიარულა.

პეტერბურგი, 9 აგვისტო. უმაღლესად ნაბრძანებია, იმ გემებს, რომლებიც კეთდება ერთი ბალტიის ქარხანაში და ერთიც ინგლისში, ეწოდოს: პირველს „ამური“, მეორეს—„რიურიკი“.

იურიევი, 9 აგვისტო. გარდაიცვალა ცნობილი თეოლოგი, ალექსანდრე ფონ-ეტტინგენი.

კონსტანტინოპოლი, 9 აგვისტო. ცნობები მაკედონიაში მობილიზაციის შესახებ სიმართლეს მოკლებულია.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 აგვისტო.

პარიზი, 9 აგვისტო. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება: აქ ყველა იმ აზრისაა, რომ მანჯურიაში მალე დიდი ომი მოხდებაო.

ლონდონი, 9 აგვისტო „ტაიმს“-ის კორესპონდენტი შემდეგს გადმოგვცემს: ზავის საქმეში არავინ ჩაერევა. რუზველტი არ ჩარეულა რუსეთსა და იაპონიას შორის მომხდარ უთანხმოებაში, როზენთან ლაპარაკის დროს, საქმეში ჩარევის შესახებ იმას არაფერი არ უთქვას. რუზველტს ნეიტრალურ სახელმწიფოებისათვის არ მიუმართავს დახმარებისათვის. როზენის ხელით რუზველტს რუსეთის მთავრობისთვის არავითარი ქაღალდი არ გაუგზავნია. მართალია, რუზველტმა გამოსთქვა ის აზრი, რომ კარგი იქმნება მცოდნე და უანგარო კაცებისგან შესდგეს კომისია და კონტრიბუციის შესახებ საკითხი განსახილველად მას გარდაეცესო. სახალინზე ლაპარაკი არ ყოფილა. ბარონ როზენმა პრეზიდენტთან ნალაპარაკევი ვიტტეს გადასცა, მაგრამ ვიტტემ მთავრობას ამის შესახებ არაფერი არ შეატყობინა.

პორტსმუტი, 9 აგვისტო. კორესპოდენტების მომეტებული ნაწილი იუწყება, მოლაპარაკების შეწყვეტა აუცილებელიაო. ვიტტემ ჟურნალისტებს უთხრა, კონფერენციის შედეგი დღეს თუ ხვალ გამოაშკარავდებაო.

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. მოლაპარაკებათა მდგომარეობის შესახებ გაზეთებმა რუსეთის რწმუნებულთა ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნეს: „ჩვენ არა გვგონია, რომ ზავი ჩამოვარდეს. იაპონელებმა დამამცირებელი პირობები წამოაყენეს. ჩვენ ბევრი რამ დავუთმეთ. ჩვენ გვგონია და ადვილი საფიქრებელიც არის, რომ იაპონელებს მხოლოდ საქმის გაჭიანურება სურთ. ახლა ოქმების ტექსტის შეცვლას თხოულობენ. ამისათვის კი ოქმებს ხელ-ახლად გადაწერა დასჭირდება, რაც ორშაბათამდის ვერ გათავდება. ამ დრომდის კი, მართალია, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ იმედი სავსებით დაკარგულია, მაგრამ ეს იმედი ისეთი მცირეა, რომ დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ ახლაც, როგორც წინად, დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთისთვის ზავი აუცილებლად საჭიროა. მაგრამ იაპონელების ჯიუტობა და გაუმაძღრობა ომის გაგრძელებას გვაიძულებს. ჩვენ უარვყოფთ იმ ცნობას, ვითომც რუზველტს საქმის სამედიატორო სასამართლოთი გადაწყვეტა ერჩიოს. უარსა ვყოფთ აგრედვე იმასაც, ვითომც ჩვენთვის მოეცეთ სხვა რამე ინსტრუქცია იმის გარდა, რომელიც თავდაპირველადვე პეტერბურგში მოგვცეს. რუზველტმა მხოლოდ სამხედრო ხარჯში სახალინის ყიდვა გვირჩია“.

პორტსმუტი, 9 აგვისტო. რადგანაც მდივნებს ოქმების წერა ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ, სხდომა ხვალისთვის გადაიდო.

ნიუ იორკი, 9 აგვისტო. ფიქრობენ, რომ იაპონელები ხვალ ორ მუხლს დაუთმობენ.

ოისტერბეი, 9 აგვისტო. აქ ფიქრობენ, რომ მოლაპარაკება კეთილად დაბოლოვდება. რუზველტი ძალიანა სცდილობს, შეთანხმებას გზა გაუკაფოს. ფიქრობენ, რომ რუზველტის ამ სურვილმა ორივე მხარის რწმუნებულებზე შთაბეჭდილება მოახდინა. რუზველტის წარმომადგენელი ვიტტესა და როზენს საზღვაო არსენალში ებაასება.

ნიუ იორკი, 9 აგვისტო. „ნიუ-იორკ-ტაიმს“-ს სიტყვით, რუზველტი დაურწმუნებიათ, რომ საზღვაო კონფერენციის სხდომა ორშაბათს უკანასკნელი არ იქმნებაო. რწმუნებულებმა რამდენიმე დრო მეორე ხარისხოვან საკითხებსაც უნდა მოანდომონ.

ოისტერბეი, 9 აგვისტო. რუზველტთან ლაპარაკის შემდეგ, კანეკომ განაცხადა: თუმცა პრეზიდენტი ჩემის ინიციატივით ვინახულე, მე მაინც იაპონიის მთავრობის წარმომადგენლად ვითვლებიო. იაპონიამ, იქნება, კარგის თვალით შეხედოს რუზველტის წინადადებას სამედიატორო სასამართლოს შესახებ.

ტოკიო, 9 აგვისტო. იაპონელებმა „პერესვეტ“-ისთვის ,,საგამი'' დაურქმევიათ, ,,პოლტავისთვის''—,,ტანგო'', ,,ბაიან“-ისთვის—„აზო“, „პოლიადისთვის“—„ცუგარუ“, „ვარიაგ“-ისთვის—„სოია“.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ე გვერდზე).

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი. მოლაპარაკება ზავის შესახებ კინაღამ შესწყდა. პორტსმუტიდან მოსულ დეპეშებიდან სჩანს, რომ მოლაპარაკება განახლებულია, ხოლო რით გათავდება, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ვინ დაუთმობს, რუსეთი თუ იაპონია—არავინ იცის. „რუსკოე სლოვოს“ საკუთარი კორესპონდენტი პორტსმუტიდან დეპეშით იუწყება: „ყოველ ნახევარ საათის შემდეგ ხან იმედი იმარჯვებს, ხან—უიმედობა. ხან ამბობენ, იაპონელებმა ზავის პირობების დასაწერად პერგამენტი იყიდესო, ხან—რწმუნებულები ბარგი ბარხანას იკიდებენ, გემზე ბილეთები აიღეს და დღეს თუ ხვალ შინისკენ გაემგზავრებიანო. ნამდვილად კი არავინ არაფერი იცის. ჭორი, ხმა, აზრი და ათასგვარი წინასწარმეტყველება იმდენია, კაცს დავთრები აერევა. იაპონელები ამბობენ, რუსები კომედიას თამაშობენ და ისე იქცევიან, ვითომ მშვიდობიანობის დამყარება უნდათ, ნამდვილად კი მხოლოდ ჩვენი შეწუხება უნდოდათ. რუსები ამბობენ: იაპონელები იმიტომ მოვიდნენ კონფერენციაზე, რომ ზავი ჩაეშალათ და ომი გაეგრძელებინათო.

პორტსმუტიდან „რუსს“ დეპეშით ატყობინებენ: „3 აგვისტოს კონფერენციამ განიხილა მე-6 მუხლი, რომელიც შეეხება სანეიტრალო ნავთსადგურებში შეფარებულ რუსეთის გემებს. ამბობენ, კომურა თანახმაა, რომ ამ გემების ბედი გადასწყვიტოს სამედიატორო სასამართლომ, რომელიც შესდგება რუსეთისა, იაპონიისა, ჩინეთისა და ამერიკის შტატების წარმომადგენლებისგანო“ (რ.)

ბერლინიდან „ბირჟ. ვედ.“-ს ატყობინებენ: „პორსმუტიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, მე-9 და მე-10 მუხლები შეეხებიან რუსეთის ფლოტის შეზღუდვას შორეულ აღმოსავლეთში, ვლადივოსტოკის დანგრევას და კონტრიბუციის გადახდას. მე-12 მუხლი შეეხება რუსეთ-იაპონიის კავშირს“.

ნიუ-იორკიდან „ბერლინერ ტაგებლატს“ ატყობინებენ: ვიტტემ გადაჭრით გამოაცხადა, რომ რუსეთი არავის დაუთმობს სახალინსაო (რ. ს.).

უცხოეთის პრესის აზრი ზავის შესახებ „ენდეპანდან ბელჟ“ სწერს: „შეიძლება იაპონელებმა 272 მილიარდი მანათი მოითხოვონ კონტრიბუციად; ისიც შეიძლება, რომ რუსეთმა გადაჭრით უარი სთქვას კონტრიბუციაზე, მაგრამ მაინც ცხადია, რომ ბოლოს და ბოლოს რუსეთმა იაპონიას კონტრიბუცია უნდა გადაუხადოს. ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოითხოვს იაპონია კონტრიბუციას; შეიძლება ცოტა მოითხოვოს და ამით რუსეთის თავმოყვარეობა შელახოს, მაგრამ შეიძლება ბევრი მოითხოვოს და მიიღოს კიდეც. იაპონელები პრაქტიკული ხალხია და რუსეთის დამცირება არაფრად გამოადგება“.

„პტი პარიზიენ“- სწერს: „იაპონია ძვირად დაუსვამს რუსეთს ზავს. ნამდვილად ისე გამოდის, რომ რაც რუსეთმა კორეასა და მანჯურიაში შექმნა, იაპონელებს ჩაუვარდებით ხელში: სიმაგრეები, ხიდები, მაღაროები, გზები და სხ.“

ამერიკული გაზეთი „სუნ.“-ი: გულახდილად

ფელეტონი

რუსეთი 1905 წელს.

რუსეთის მდგომარეობა მეტად სამძიმო შეიქმნა ამჟამად. საშინელი კრიზისი, რომელმაც ძირიანად შეარყია რუსეთი, გადაჭრილ ზომების მიღებას მოითხოვს უთუოდ. საჭიროა ახლავე, დაუყოვნებლივ შეიცვალოს სახელმწიფო და საზოგადო ცხოვრება, ვინაიდან საქმის გადიდებას და დაყოვნებას ისეთი საშინელი შედეგი მოჰყვება უთუოდ, რომლის გამოკეთებაც შემდეგ აღარ შეეძლება არავის. მართლაც, განა ცხადი არ არის ყველასთვის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ყველაფერს, რაც ახლა რუსეთში ხდება? მხოლოდ ერთ ძირითად რეფორმას, რეფორმას, რომლის სახელიც იცის ყველამ, შეუძლია რუსეთს მოაშოროს თავიდან საშინელება.

აგერ, ნახევარ წელიწადზე მეტია მას აქეთ, რაც მთავრობამ გამოაცხადა საჯაროდ, რეფორმების შემოღებას შევუდგებით. ამ ნახევარ წლის განმავლობაში კიდევ მრავალი დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. გადავავლოთ თვალი იმას, თუ რა, ან როგორ გააკეთა ბიუროკრატიამ ამ რეფორმების შემოსაღებად, მის ნამოქმედარს თავი მოვუყაროთ 1904 წ. 12 დეკემბრის ბრძანების ცალცალკე მუხლების მიხედვით.

12 დეკემბრის ბრძანება მოითხოვს უპირველესად, რომ ყველგან იქმნეს სასტიკად დაცული კანონის ძალა. კანონის ძალა შეურყეველი რომ დარჩეს, ამისთვის არის საჭირო, თვით კანონების გამოცემის დროს იყოს დაცული წესი.

დღემდის ისეთი წესი იყო რუსეთში, რომ ყოველი ახალი კანონი სახელმწიფო საბჭოში უნდა გარჩეულიყო. 12 დეკემბრის ბრძანების აღსრულება კი მიენდო მინისტრთა კომიტეტს.

1905 წ. იანვარში ხელმწიფემ დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტის წინადადება, რომ ყოველი ახალი კანონი უთუოდ სახელმწიფო საბჭოში გარჩეულიყო.

მას შემდეგ, იქმნა გამოცხადებული.

1) იანვარი. ხელმწიფის ბრძანება მოსკოვში დროებით განსაკუთრებულ მმართველების შემოღების შესახებ.

2) 11 იანვარი.—პეტერბურგში გენერალ-გუბერნატორობის დაარსება.

3) მარტი.—სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამოსარკვევად დაარსებულ ცალკე სათათბიროს გაუქმება. ეს ზომა სრულებით მოულოდნელი იყო თვით ამ სათათბიროსა და მის თავმჯდომარისათვისაც.

4) აპრილი—სოფლების ქონებრივი პასუხისმგებლობა, სადაც უკანასკნელ ხანებში არეულობა მომხდარა.

5 და 6) 3 მაისი და 22 მაისი.—კავკასიის პოლიციის გამგეს გამწესება, კავკასიის ნამესტნიკის უფლებათა გაფართოვება.

7) 21 მაისი.—პოლიციის მთავარ-გამგედ მუფი', მინისტრის თანაშემწის უფლებათა გაფართოვება.

8) 6 იენისი.—საადგილ-მამულო საქმეებისთვის კომიტეტის დაარსება, მიწად-მოქმედებს სამინისტროს რეფორმა. ეს მნიშვნელოვანი რეფორმა სრულებით მოუმზადებლად მოხდა, მიწათმოქმედების მინისტრის დაუკითხავად.

9) 8 ივნისი.—სახელმწიფოს დამცველ საბჭოს დაარსება.

10) მთავარ შტაბის უფროს გამგის თანამდებობის დაარსება, სამხედრო სამინისტროს რეფორმა.

უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ყველა განსაზღვრულ რეფორმებში კანონიერება უმთავრესია, ვინაიდან არავითარი ფასი არ ექმნება კანონებს თვითმართველობის, სარწმუნოებრივ თავისუფლებისა და სხ. შესახებ, თუ თვით კანონი არ შეიქმნა შეურყეველი.

მართალია, სახელმწიფო საბჭომ გადასწყვიტა და ხელმწიფემაც დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება, რომ ყველა ახალი კანონი, ან ძველის კანონის შეცვლა სახელმწიფო საბჭოს ხელში უნდა ყოფილიყო უთუოდ, მაგრამ ამ გარემოებასაც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგანაც ხალხს არავითარი გარანტია არ ჰქონდა, რომ ბიუროკრატია თვითონვე არ დაარღვევდა ადვილად ამ მისგან შემუშავებულ წესსა და კანონს სახელმწიფო საბჭოს დაუკითხავად აღარ გამოსცემდა. სენატს კანონიერების დაცვა არ შეეძლო,—როგორც დღემდისაც არ შესძლებია—და სახელმწიფო საბჭოსაც არ შეეძლო თავისი უფლებები დაეცვა როგორმე.

12 დეკემბრის ბრძანება აცხადებს, უკანონო საქციელისათვის მოხელენი პასუხის-მგებელნი არიანო. არსებულ რეჟიმის ერთი უმთავრესი ნაკლი სწორედ ის იყო, რომ სახელმწიფო მოხელენი ხშირად ყოველგვარ პასუხისმგებლობისაგან თავისუფალნი იყვნენ, თუ თავის მოქმედებით დაარღვევდნენ კანონს. ადმინისტრაციის წარმომადგენელნი ადვილად იშორებდნენ თავიდან ყოველგვარ პასუხისმგებლობას, როდესაც თვითონ არღვევდნენ კანონს, ან ფეხ-ქვეშ სთელავდნენ ხალხისა და კერძო პირებს უფლებებს. თვითნებობა,—აი, ეს იყო ჩვენის ბიუროკრატიის დევიზი, მის მოქმედების დამახასიათებელი. და ამ თვითნებობას ამართლებდა, მას იცავდა კანონი, რომელიც აშორებდა ბიუროკრატიის წარმომადგენლებს ყოველივე პასუხისმგებლობას. რომელისამე გაფუჭებულ, კანონის დამრღვევ მოხელის პასუხის გებაში მისაცემად საჭირო იყო უფროსის ნებართვა, რომელიც თვითონ ხშირად მასზე უკეთესი არ იყო, რომელმაც თვითონ უბრძანა უკანონობა, რომელსაც მისი უკანონო მოქმედება საქებური ჰქონდა, ამიტომ თვითნებობა დაუსჯელი რჩებოდა, საშინელი, წარმოუდგენელი უკანონობა თანდათან იზრდებოდა და ხშირად მომხდარა ისიც, რომ ადამიანი უკანონო მოქმედებისათვის ჯილდოს ღირსად მიუჩნევი ბიუროკრატიას.

12 დეკემბრის ბრძანების პირველ მუხლის შესამუშავებლად განსაკუთრებული კომისია დაარსდა. ამ კომისიის მოქმედების შესახებ აქა-იქ იბეჭდებოდა ცნობები გაზეთებშიაც. მაგრამ ამ ცნობებიდან აშკარა იყო მხოლოდ ის, რომ ეს კომისია ჩვეულებრივ ბიუროკრატიულ გზას დაადგა საქმის გამოსარკვევად. ცნობებს ჰკრებდა, საქმის შესასწავლად ევროპაში ორ წევრის გაგზავნას აპირებდა,—ერთის სიტყვით, ნათელი და აშკარა საქმე გაჭიანურდა.

დამნაშავე და დასჯილი არსად არა სჩანდა, დაუსჯელი რჩებოდნენ ისინი, ვის პირდაპირი მონაწილეობა ამ საქმეში, ან განზე გადგომა ყველასათვის უეჭველია...

მაგრამ დავანებოთ თავი ამ ძალმომრეობას, რომელიც თითქმის ყოველ-დღიურ მოვლენად გადაიქცა,—ცხოვრების სხვა დარგებშიაც თავს იჩენს თვითნებობა, ბიუროკრატიისაგან ხალხის ძირითად უფლებების გათელვა. გავიხსენოთ საადგილმამულო არეულობა. აქ ხელმწიფის მანიფესტით მოსპობილი გაროზგვა ადამიანისა ბიუროკრატიამ ისევე თავის ნებით შემოიღო.

გადავიდეთ საქალაქო და საერობო რეფორმებზედაც. 12 დეკემბრის ბრძანება გარკვევით ითხოვდა წვრილ საერობო ერთეულის შემოღებას, საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებას, ადგილობრივ დაწესებულებათა მოქმედების გაფართოვებას, მათ დამოუკიდებლობის მომატებასაც.

ყველა ეს საკითხი ადვილი გადასაწყვეტია, ვინაიდან სხვადასხვა ერობას და ქალაქებსაც უკვე აღნიშნული ჰქონია სასურველ რეფორმის დედა აზრები, ვინაიდან ამ რეფორმის შესახებ ბევრი წერებულა და კიდევ მეტი თქმულა სხვადასხვა კრებაში,—ამ საქმეში ხომ ადგილობრივ თვითმართველობის წარმომადგენლებსაც შეეძლოთ დიდი დახმარება აღმოეჩინათ ბიუროკრატიისათვის. მაგრამ საქმე მინისტრთა კომიტეტში გადაიცა და კომიტეტმაც ცალკე კომისია დაარსა, თითქო საზოგადოების წარმომადგენელთა მოწვევაც მოისურვა, მაგრამ ისე გაუბედავად, რომ აშკარად ეტყობოდა, თუ რამდენად უფრთხოდა იგი ხალხის პირიდან მის აზრის გაგებას. და, მართლაც, ეს წარმომადგენლები დღესაც მოუწვეველი დარჩა და საქმე ნათელი და მარტივი უძრავად გაჩერებულა კანცელარიაში,—ცხადი იყო, რომ ამ თვითმართველობის დაცვა, მისი გამაგრება და გაძლიერება ნამდვილად არ უნდოდა ბიუროკრატიას.

12 დეკემბრის ბრძანება სარწმუნოებრივ თავისუფლებასაც აცხადებს.

17 აპრილს აგრედვე დიდის ამბით გამოცხადდა, რომ სარწმუნოების გამოცვლა ბოროტმოქმედებად აღარ ჩაითვლებაო, რასკოლნიკებსაც ზოგიერთი თავისუფლება მიენიჭათო.

17 აპრილის ბრძანება თავისთავად ჯერ კიდევ სარწმუნოების თავისუფლებას არ წარმოადგენს. საქმით კი მას კიდევ ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ბიუროკრატიის თვითნებობა არ შეზღუდულა და, მართლაც, მას აქეთ რამდენიმე ცირკულიარიც გამოიცა, რომელიც ხელმწიფის ბრძანებაში აღნიშნულ სარწმუნოებრივ თავისუფლებას ფრთას უკვეცავს და ხშირად სრულიადაც სპობს.

12 დეკემბრის ბრძანება მოითხოვდა გაძლიერებულ დაცვის წესების გადასინჯვას მათ შესამცირებლად. მინისტრთა კომიტეტმა ეს საქმე განიხილა და გადასწყვიტა: გაძლიერებულ დაცვის წესები მიზანს ვერ აღწევენ, ხალხისთვის მეტად შემავიწროებელია, მათ არავითარ სარგებლობის მოტანა არ შეუძლიანთ და, პირიქით, ხშირად დიდი ბოროტმოქმედებაც მოჰყვებათო. მგონია, ყველასათვის ცხადია, რომ ამნაირ პირობებში და ამნაირ შეხედულების მქონე პირებს დაუყოვნებლივ უნდა მოესპოთ ხსენებული წესები რუსეთში. მაგრამ მინისტრთა კომიტეტი ასე არ მოქცეულა. მან განსაკუთრებული კომისია დაარსა, რომელმაც კომიტეტისავით გაძლიერებულ დაცვის წესი გადაჭრით უარჰყო.

მაგრამ ეს წესები დღესაც არსებობს. კომისია განაგრძობს საქმის შემუშავებას. მისი ორი წევრი საზღვარ გარედ მიდის საქმის ადგილობრივ შესასწავლად,—ბიუროკრატიამ კი ამასობაში თანდათან შემოჰქონდა რუსეთის სხვადასხვა ნაწილში გაძლიერებულ დაცვის წესები, სამხედრო წესებიც... ამნაირად მთავრობამ თვითონ აღიარა, რომ გაძლიერებულ დაცვის წესები მავნებელია, მაგრამ ამავე დროს ამ წესების მოსპობა კი ბიუროკრატიამ ვერ მოახერხა.

31 დეკემბერს გაძლიერებულ დაცვის წესები შემოიღეს პოლტავის გუბერნიის, კონსტანტინოგრადის, პერეიასლავის და ლუბენის მაზრებში, გროდნოს გუბერნიის ქ. ბელოსტოკში.

ამავე დროს ამწესების მოქმედება შემოიღეს ქ. სარატოვსა, ქ. პოლტავას და კრემენჩუგის მაზრებში, ქქ. მოგილევსა, გომელსა, მინსკსა, იურიევსა და ნიჟნი-ნოვგოროდში და ტომსკის გუბერნიაში.

გაძლიერებულ დაცვის წესები შემოღებულია:

22 იანვარს მელიტოპოლში.

16 იანვარს კალიშის, სედლეცკის და რადომის გუბერნიებში.

10 თებერვალს ვარშავასა და ლოძში და ვარშავისა და პეტროკოვის გუბერნიებში.

13 თებერვალს ქ. ქუთაისში და ქუთაისის გუბერნიის 3 მაზრაში.

15 თებერვალს ლიუბლინის, სუვალკის, პლოცკის, ლომჟის და სედლეცკის გუბერნიებში.

26 თებერვალს ქ. ერევანში.

14 მარტს ლიფლანდიასა და კურლანდიაში.

16 მარტს ვიტებსკის გუბერნიაში.

20 აპრილს ქ.ქ. ვილნოსა, გროდნოსა და სმორგონში.

10 მაისს ტფილისის გუბერნიის 3 მაზრაში.

11 მაისს თავრიდის გუბერნიაში.

13 მაისს ქ უფაში.

25 ივლისს ქ. ნოვოროსიისკში.

უნდა ვთქვათ, რომ იაპონიამ ძალიან ზომიერი პირობები წამოაყენა. ვურჩევთ რუსეთს, ეს პირობები მიიღოს და შინაურ საქმეებს მიხედოს, თორემ, თუ გაჯიუტდა—მანჯურიის ჭაობში ყელამდის ჩაიფლობა და სხვის დაუხმარებლად ვეღარ ამოვა, დამხმარე კი ამჟამად რუსეთს არავინა ჰყავს. გარდა ამისა, რუსეთს არ უნდა დაავიწყდეს, რომ მარშალი ოიამა გამარჯვებას დაეჩვია და გენ. ლინევიჩს მეორე სედანს გაუმართავს. ოიამას ტოგო მიჰყვება და იქნება თავის ესკადრით ბალტიის ზღვაშიაც ამოჰყოს თავი. (რ.).

მანჯურიაში. „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტი ბრძოლის ველიდან იუწყება: მარშალი ოიამა თავის ჯარებს ამოძრავებს და, როგორც ეტყობა, მარჯვნივ, კორეიდან მოიწევს, ალბად გენ. ხასეგავას ჯართან ხელის გასაწყობად. იაპონელებმა რკინის გზა სულ შეაკეთეს. გარდა ამისა, ის მასალა, რომელიც რუსებს წაართვეს, გამოიყენეს: კუშუნიდან დაწყებული ჩრდილოეთისკენ რკინის გზა გაიყვანეს (რ. ს.).

ვლადივოსტოკი. ,,რუსკოე სლოვო''-ს დეპეშით ატყობინებენ: 2 აგვისტოს სამხედრო-საზღვაო სასამართლომ გაარჩია საქმე ოთხ მატროსისა, რომელთაც პოდპორუჩიკის კოლოდოჩკინის ცემა ბრალდებათ. სასამართლომ ერთს დახვრეტა გადაუწყვიტა, სამს—სამ სამი წლით დისციპლინარულ ბატალიონში გაგზავნა (რ. ს.).

რამდენი დახარჯა იაპონიამ ომზე? იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა ანგარიში ომის დანახარჯისა: 1) შემოსავლის მომატება—48 მილიონი იენი; 2) თუთუნის აქციზი—62 მილ; 3) სხვადასხვა ზედმეტი შემოსავალი—55 მილ.; 4) შინაური სესხი—544 მილიონი; 5) გარეშე სესხი—520 მილიონი; სულ—1065 მილიონი იენი, ანუ—თითქმის ამდენივე მანათი (რ. ს.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 8 აგვისტო. „სლოვო“-ს სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროს პირველ კრებაზე შეტანილი იქნება საკითხები: საქალაქო ახალ დებულებისა, საგლეხო რეფორმისა, ებრაელთა, საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღებისა და საერობო დებულებათა შეცვლის შესახებ. წარდგენილ იქნება აგრეთვე ამ უკანასკნელ დროს უმაღლესად დამტკიცებულ კომისიების-მიერ შემუშავებული პროექტები. პირველ კრებას დიდის ამბით მოაწყობენ. კრებაზე დაესწრებიან უავგუსტოესი პირები და უცხო ქვეყნების წარმომადგენელნი.

საგანგებო კრებას მიენდო, შეიმუშაოს ნორმალური დებულება გემებზე მოსამსახურეთა შესახებ. საგანგებო ყურადღება აქვს მიქცეული მატერიალურ გაუმჯობესობასა და კაპიტნებისა, შკიპერებისა და მეზღვაურების განათლების ცენზს.

პეტერბურგი, 9 აგვისტო. საგანგებო საბჭო, გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით, რომელიც დაარსდა სახელმწიფო სათათბიროს დამატებითი კანონების განსახილველად, მოქმედებას დაიწყებს სექტემბრის დამდეგს. უპირველესად განიხილავენ პოლონეთსა, ტურგაისა და ურალის ოლქისა, თურქესტანსა და კავკასიაში სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნების შესახებ საკითხს. ამ წევრთა რიცხვი 140 კაცს არ უნდა აღემატებოდეს. საგანგებო საბჭო განმარტავს აგრეთვე დაწვრილებითი გეგმას მაზრებსა, გუბერნიებსა და ქალაქებში საარჩევნო კრებების შესახებ. სახელმწიფო სათათბიროს წევრთა პირველი არჩევნები მოხდება ოქტომბერში. „რუს“-ს გაუგია, რომ მომავალი ამნისტია შეეხება ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულთ და სრულიადაც არ შეეხება სასამართლოს წესით დასჯილთ. ამბობენ, რომ ბევრს საზოგადო მოღვაწეს, რომელიც ახლა საზღვარ-გარედ არის გაქცეული, რუსეთში დაბრუნების ნება მიეცემათ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა სახელმწიფო სამუშაოთა ორგანიზაციის წესები დამშეულ გუბერნიების მცხოვრებთათვის.

სახალხო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა წესები საშუალო სასწავლებლებში საექიმო-სასანიტარო საქმის გაუმჯობესობის შესახებ. განზრახვა აქვთ, დააწესონ სიოლქო ექიმის თანამდებობა.

ახალი ამბავი

◆ კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით **რიონის რაზმი, რომელიც გურიის დასამშვიდებლად იყო გაგზავნილი, დაიშლება** და ის ჯარები, რომლებიც რკინის გზებს იცავდნენ, თავ-თავიანთ ადგილებში დაბრუნდებიან. თითო როტა ტენგინის პოლკისა დარჩება მხოლოდ ფოთსა, სამტრედიასა და შორაპანში.

◆ „ნოვ. ობ.“-ს ქუთაისიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ სამშაბათს, ღამე, **ჯარისკაცებსა და ხალხს შეტაკება მოსვლიათ**. თოფით მომკვდარა და დაჭრილა რამდენიმე კაცი.

◆ გომიდან გვატყობინებენ, რომ სოფ. ავლევში გლეხებმა **დასჭრეს ადგილობრივი მემამულე თავ. ნიკ. ამირეჯიბი.**

◆ სოფელ თიონეთში, პოლიციის დასახმარებლად, **საჩქაროდ გაიგზავნა ტვერის დრაგუნის პოლკის ორი ესკადრონი და კაზაკების ერთი ასეული.**

◆ დუშეთის მაზრის უფროსის თხოვნით **სოფ. ჩირდილიანთ-კარში, პოლიციის დასახმარებლად, გაიგზავნა ნოვო-ბაიზეთის პოლკის ერთი როტა.**

◆ ამჟამად კავკასიის ნამესტნიკის საბჭოში **ირჩევა საკითხი** პირველ დაწყებით სკოლებში ადგილობრივ ენების სწავლების შესახებ. ამის გამო ნამესტნიკის კანცელარიამ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას მოსთხოვა ყველა საჭირო ცნობები, მასალა და აგრეთვე ა. ი. ნატროშვილის-მიერ შედგენილი მოხსენებაც.

◆ ამას წინად ქ. გორში **გორის მაზრის სოფლების მასწავლებელთ კრება ჰქონდათ.** კრებას დაესწრო ორმოცამდე მასწავლებელი. კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა, პირველი ენკენისთვიდან სკოლებში სწავლა არ განაახლონ.

◆ ამჟამად **შესდგა ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს ოჩემჩირესა და ფოთს შუა რკინის გზა გაიყვანოს.** ამხანაგობამ ნება-რთვა უკვე აიღო.

კავკასიაში ზოგიერთ სოფლის საზოგადოებას **ჩამორთმეული ჰქონდა მამასახლისების არჩევის უფლება.** ამგვარი სოფლები იყო; დაღესტნის ოლქში—1, ყარსისაში—9, ზაქათალისაში—7 და სოხუმისაში—2, ამჟამად კავკასიის ნამესტნიკმა შესძლებლად სცნო ამ სოფლებს ეს უფლება ისევ დაუბრუნდეს.

◆ **რადგანაც გროზნასა და ნოვოროსიისკში რკინის გზის მუშათა გაფიცვა ჯერაც არ შეწყვეტილა**, რკინის გზის გამგეობას დამშეულ გუბერნიებიდან 500 კაცი გამოუწვევია. ამასთან ერთად მიუნდვია ნოვოროსიისკის კომერციულ სააგენტოსთვის შეადგინოს მუშათა ახალი არტელი სომხებისა და თათრებისაგან (გაზ. ყაზბეგი.).

◆ ამ თვის 18-ს ტფილისის სამაზრო გამგეობაში **ბეითალთა კრება დაიწყება.** ამ კრებაზე უნდა შეიმუშაონ ის ზომები, რომელიც მიღებულ უნდა იქმნას ჭირის ასაცდენად საქონლის გადარეკ-გადმორეკის დროს.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის წინაშე ინჟენერ ლალაევმა **შუამდგომლობა აღძრა** ქ. კავკავში პირველ ხარისხის კერძო სასწავლებლის დაარსების შესახებ. ოლქის უფროსმა ნება დართო იმ პირობით, რომ შემდეგში ეს სასწავლებელი კერძო გიმნაზიად იქმნას გადაკეთებული.

◆ **დუშეთის მაზრის სამღვდელოებამ დაადგინა** არ გამოიწერონ „Духовный вѣстникъ грузинскаго экзархата“ და ამ ჟურნალის მიმდინარე წლის ყველა ნომრები უკანვე დაუბრუნებია.

◆ გუშინ, 10 აგვისტოს, კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ განიხილა ქვეითა ჯარის-კაცის გრიგოლ ვოლოსოვის საქმე, რომელსაც 3 თებერვალს 1904 წელს, დიდოფლის წყაროში, 43 დრაგუნთა ოფიცრის ზ. სუმბათაშვილის მოკვლა ჰბრალდება. სასამართლოს თავმჯდომარეობდა გენერალ-მაიორი ვიტხოვსკი, წევრებად იყვნენ პოდპოლკოვნიკი პოპოვი და გრიგოროშვილი, კაპიტნები თ-დ ვაჩნაძე, ვასილიევი და ჩერნოგოროვი. ბრალსა სდებდა სამხედრო ბრალმდებელი გენერალ-მაიორი ოკულიჩ-კაზარინი. დამნაშავეს იცავდა პრაპორშჩიკი ფომინი. **სასამართლომ დამნაშავედ არ იცნო ჯარის-კაცი ვოლოსოვი ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო და გაამართლა.**

◆ გუშინ, 10 აგვისტოს, სომხეთა კათალიკოსი **ეჩმიაძინში წავიდა.**

◆ გზათა სამინისტრომ ამიერ-კავკასიის რკინის გზებს სარევიზიოდ გამოგზავნა დ. ს. ს. იაშმოვი, რომელსაც დაევალა გამოიკვლიოს ამ გზებზე მომხდარი გაფიცვების ნამდვილი მიზეზები.

◆ **კავკასიის ნამესნიკმა ნება დართო** ტფილისის მცხოვრებს ჯელალ-მამედ-კული-ზადეს ადგილობრივ თათრულ ენაზე ყოველ დღიური გაზეთი „ნოვრუზი“ გამოსცეს.

◆ **ვ. კაუცკის „ერფურტის პროგრამა“ გადათარგმნილია სომხურ ენაზე** და მალე დაიბეჭდება. ამ წიგნში იქნება შოთავსებული განსაკუთრებით ამ თარგმანისათვის დაწერილი კაუცკის წინასიტყვაობა.

◆ უწ. სინოდმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამ ბოლოს დროს ეკლესიების ძარცვა ძალიან გახშირდა და წინადადება მისცა სასულიერო კონსისტორიებს, გამოუცხადონ ადგილობრივ საეკლესიო კრებულთ და მნათეებს, რომ **ის ზარალი, რომელიც ქურდობისაგან ეკლესიას მოუვა, ამის შემდეგ გადახდება სამღვდელოებასა და მნათეებს.**

◆ **ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მასწავლებელნი:** რუსულ ენისა—აფანასიევი, მათემატიკისა—ბაბიჩი და ისტორიისა—ვასილიევი სხვა სასწავლებლებში გადაჰყავთ. ბაბიჩის ადგილას გადმოჰყავთ პიატიგორსკის გიმნაზიის მასწავლებელი წერეთელი.

◆ ტფილისის ხელოსანთა მოურავმა გუბერნატორს **დასამტკიცებლად წარუდგინა სია იმ კანდიდატთა**, რომელთაც კენჭი უყარეს მეპურეთა და მკალავთა ამქრებმა. მეპურეთა ამქრის მამასახლისად დაინიშნა ტ. გაბაროვი, მის ამხანაგებად ს. მუსხელიძე, ი. ბურდულოვი, ხოლო ხმოსნებად ვ. ბურდულოვი და ალექსი წამალაშვილი. მკალავების უსტაბაშად დაინიშნა დ. ბალიაშვილი, ამხანაგებად ს. შახნაზოვი და მ. მაილოვი.

◆ მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა დ. ს. ს. მედვედიევმა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე იშუამდგომლა, რომ ნება მიეცეთ კავკასიის მთიულებს მიწის მფლობელობის მოსაწესრიგებლად **კრება გამართონ.** კავკასიის ნამესტნიკმა ეს შუამდგომლობა შეიწყნარა.

◆ 9 აგვისტოს, სომხეთა კათოლიკოსი, ტფილისის სომხეთა ეპარქიის უფროსის არქიეპისკოპოსის გარეგინ სათუნიანის, ეპისკოპოსის ნაჰაპეტ ნაჰაპეტიანის და არქიმანდრიტის იუსიკის თანხლებით, სადარბაზოდ სულთან კრიმ-გირეისთან იყო. დარბაზობამ ნახევარ საათს გასტანა. ნახევარ საათის შემდეგ კათოლიკოსთან მოვიდნენ სადარბაზოთ სულთან კრიმ-გირეის ქალი და მისი მეუღლე. სულთან-კრიმ-გირეის ქალმა კათოლიკოსს თავის ხელით ნაკერი ბალიში მიართვა. კათოლიკოსმაც თავისი სურათი აჩუქა.

◆ სოფ. გრემში (თელავის მაზრა) გლეხებს მიწის მზომლისთვის ნება არ მიუციათ, მიწების გაზომვისა და მუშაობაზე ხელი აუღებინებიათ. მოსულა ბოქაული კაზაკებით. **შეტაკების დროს ოთხი გლეხი მომკვდარა და ათი დაჭრილა.** ბოქაულისთვის ძალზე უცემნიათ.

◆ როგორც „ცნ. ფურ.“-ს შეუტყვია, ავლაბარში ახალგაზრდობის ერთს ჯგუფს განუზრახავს, შეადგინოს **„სცენის მოყვარეთა ამხანაგობა“.** ამ ამხანაგობის წევრი იქმნება ყველა, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, ვინც ყოველ-წლიურად სამ მანათს გადიხდის. წარმოდგენები იქმნება სახალხო და იაფ ფასიანი. ამხანაგობას განზრახვა აქვს აგრეთვე ავლაბარში უფასო სამკითხველოც დაარსოს.

◆ ავლაბრის ახლად დაარსებულ პროგიმნაზიაში ჯერ-ჯერობით მომავალ სამოსწავლო წლიდან არსდება ორი მოსამზადებელი განყოფილება და 2 პირველი პროგიმნაზიული კლასი.

◆ კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, სოხუმის ოლქი შავიზღვის პირის გუბერნიისათვის უნდა მიეწეროთ. ამჟამად ბათომის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, რომ სოხუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას მიაწერონ.

◆ გუშინ, 10 აგვისტოს, ტფილისის პოლიცმეისტერი სადარბაზოდ იყო სომხეთა კათოლიკოსთან.

◆ თერგის ოლქის მთიელმა მაჰმადიანებმა სთხოვეს კავკასიის ნამესტნიკს **მოლლების მოსამზადებლად სპეციალური სასწავლებელი დაგვიარსეთო.** ეს თხოვნა განსახილველად თერგის ოლქის უფროსს გადაეცა.

◆ 1895 წ. კავკასიაში მინისტრის რწმუნებულის ნებართვით დასახლდა ყარაიაზში საიჯარო პირობებით ს. კაპანახჩის (ბორჩალოს მაზრა) 30 კომლი. **ახლა გამგეობის უფროსს საჭიროდ მიაჩნია** ამ კაპანახჩელ გლეხთა დაუენებისა თუ გადასახლების საკითხი განხილულ იქმნას ყარაიაზის ძველ მკვიდრთა შესახებ საერთო საკითხთან ერთად. ამ საკითხის გადაწყვეტა ახლავე საჭირო, ვიდრე მთელი ყარაიაზი გადმოსახლებულთა პუნქტად არა ქცეულა.

—

შეცდომის გასწორება: იაკობ გოგებაშვილის გუშინდელს წერილში ფრაზა: „არიფმეტიკა რუსულს ენაზე ოფიციალურის იანოვსკის გეგმის მიერ დანიშნულს დროზე არ უნდა იწყებოდესო“, უნდა თავდებოდეს ასე: დანიშნულს დროზე **ადრე** არ უნდა იწყებოდესო......

სადღეისო

მე კი არ ვიცოდი?!

(ერთის კაცის დღიურის მერვე ფურცელი).

კუზიანს მარტო სამარე გაასწორებს...

სიკვდილის მეტი ვერა მოაჭკვიანებს-რა ჩვენებიანთ ზაქარასაც, მაგრამ იმ ოხერმა სიკვდილმაც რომ დაივიწყა?!.

ან კი რას მარგებს მისი სიკვდილი. ის მოკვდება, ათასი სხვა ლეკვი დარჩება და კვლავ სიცოცხლეს გამიმწარებენ, კვლავ შარსა და ბოროტს გადამკიდებენ.

ერთით ახია ჩემზე, ვინაიდან ჩემის მოთმინებითა და დღეს-ხვალიობით ყველაფერი დავკარგე, ბედი ხელიდან გავუშვი და ახლა, როდესაც ზაქარა გამიბატონდა, თავსა და პირში ხელს ვიცემ.

გვიანღაა, გვიან!

მაგრამ რა ვქნა, რომ გული არ მისვენებს, დღის სიცხადე სულს მიშფოთებს, არსებას მიშხამავს...

რომ არ დავიჩივლო, სხვასაც რომ არ გავუზიარო ჩემი ბოღმა, ჯავრით ყავარივით შუა გავიპობი, გადავირევი.

აი, საქმე რაშია.

ჩემის უჭკუობით ჩვენებიანთ ზაქარა მზრუნველად დავიყენე.

ობოლი ვიყავ, უპატრონო. იმდენი მოხერხება არა მქონდა, რომ ჩემის მამულისათვის მევე მომევლო და... ზაქარას მივმართე.

გამოცდილი, ჭკვიანი კაცი ხარ—გეხვეწები ჩემს მამულ-დედულს უპატრონე, მოუარე... შემოსავალი კი შუა გავიყოთ მეთქი!

ზაქარა კალმახივით მომიკვდა ხელში, ზაცად თვალები აღაპყრო, დაიმოწმა ცა და ქვეყანა, რომ ჩემი გულისათვის წყალშიაც კი გადავარდებოდა...

ზაქარა ჩემი მზრუნველი შეიქმნა. ხოლო ჩემი ზვარ-ნაფუზრები—თავდები ჩვენის ურთიერთობისა.

გავიდა დრო და ჟამი. წამოვიზარდე, წელში გავსწორდი. მე თითონ მომინდა მოვლა ჩემის ვენახებისა და ღიღინით დავეშვი ნაფუზრებისკენ.

ჯერ ისევ შორიდანვე დავინახე ფერდობზე გაშენებული მამიჩემისეული ვენახი და გულმა სიამოვნებით ცემა დამიწყო.

კოხტა და ტურფა რამ არის ეს ვენახი. სასიძოდ მომზადებულ, ულვაშ გადაგრეხილ ჭაბუკებივით დარაზმულან ვაზები და მორცხვი კეკლუცივით წარბ-შეკვრით გაიყურებიან შორს, შორს, თითქოს ცის კიდურთან მდგომ მთის კალთებზე ბედის მწერალს დაეძებენო. დაბლობში, ამ ვენახის ფიანდაზად გაშლა უზარ-მაზარი ხოდაბუნი, ესეც ჩემია,—დედიჩემისეულია.

სიხარულით მივუახლოვდი ვენახს და ჭიშკარი შევაჭრიალე.

კარებში მებაღე დამხვდა, ნოლა, უცხვირპირო, თავით ფეხამდე შეიარაღებული.

— ვინა გნებავთ? დამჭყივლა მებაღემ და მკლავში ხელი წამავლო.

— ვინ უნდა მნებავდეს—ჩემ ვენახში მოველმეთქი.

— შეგიძლიანთ უკანვე წაბძანდეთ... ვენახი ზაქარასია! მითხრა უკმეხად მებაღემ, გარედ გამომისტუმრა და კარები ურდულით ჩაკეტა.

ხოდაბუნში ჩაველ, იქიდანაც მეველემ გამომაგდო—ხოდაბუნი ზაქარასიაო.

ბიჭოს!.. კაი ამბავია მეთქი—გავუკვირვე და ზაქარასთან გავეშურე.

ზაქარა აივანზე ბოლთასა სცემდა. ტანზე გრძელი ხალათი ეცვა, თავზე ხილაბანდი წაეკრა. პირ დაუბანელი იყო. გეგონებოდათ საგიჟეთიდან ეს არის ახლა გამოსულაო, თვალებს ფეთიანივით აბრიალებდა.

ეზოში კინაღამ ძაღლებმა არ გამფათრეს. აი, ძაღლის რჯულზე მოკვდეს ზაქარა, ძაღლის რჯულზე, რომ ასე ჰყვარებია ქოფაკები!

— ვახლავარ... მობრძანდით... დაბრძანდით... რა გნებავთ?—ნაწყვეტ-ნაწყვეტად გამომელაპარაკა ზაქარა და შეიშმუშნა.

— რა უნდა მინდოდეს, ჩემ მამულში მე აღარ მიშვებენ-მეთქი.

ზაქარამ ულვაშებში ჩაიცინა და თავაგდებითა სთქვა.

-- ძალიან კარგი უქნიათ. ნაბრძანები მაქვს ჩემ მამულში არავინ შეუშვან.

— საიდან არის შენი?.. ჩემია.

— შენი ვირის თავფეხია... მწირი მამული გავაკეთე, მოვუარე, ოფლით მოვრწყე, აუარებელი ფული დავხარჯე... ახლა ჩემია, ჩემი!—ისევ ისე თავ-აგდებით მითხრა ზაქარამ და [illegible] მოჰკრა.

ოთახიდან აივანზე ზაქარას მოურავი გამოვიდა.

პირმოპარსული და ხმელ-ხმელი სწორედ იმ ქოფაკსა ჰგავდა, წელან რომ კინაღამ არ გამფათრა. თვალები ჩასისხლიანებოდა, ხმა ჩახლეწოდა, მეტის მეტი გაიძვერობითა და სიბოროტით ეშმაკის ფერი დასდებოდა.

— კირილ პეტროვიჩ! ეს ყმაწვილი გააცილე, ძაღლებმა არ შეჭამონ და ეზოს კარები მაგრა ჩაკეტეო!—უბძანა ზაქარამ მოურავს, ზურგი შემომაქცია და ოთახში შევიდა.

გავშეშდი, სიბრაზითა და ბოღმით პირში ნერწყვი გამიშრა.

მოურავი ველურად იღიმებოდა.

— რათ მართმევს მამულს.. სად გაგონილა ასეთი უსამართლობა-მეთქი? შევეკითხე მოურავს.

— უსამართლობა... ხა, ხა, ხა! სამართლიანობა... ხი, ხი, ხი!—ჩაიხითხითა მოურავმა და კარები მიჩვენა.

გააფთრებული მოვედი სოფელს და თითოეულ ქოხს, თითოეულ კაცს, ნაცნობს თუ უცნობს, ჩემი უბედურება შევჩივლე.

დაიწყო, დაიდაგა სოფელი ჩემის ცოდვით. თითონაც გულნატკენი იყო ზაქარასაგან და გადასწყვიტა ძალით აღედგინათ ჩემი უფლება.

შეშინდა ზაქარა. თავათ გიჟს ეძახდნენ და შიშმა ახლა სულ მთლად გადარია.

პირველად სოფელს ძაღლები მიუსია. ეგონა სოფელს ამით ხმას ჩავაწყვეტინებო.

ის ვერანა ძაღლები ისეთი დაგეშილები გამოდგნენ, რომ კინაღამ მთელი სოფელი გადასანსლეს.

ერთხანს გარედ ვერავინ გამოდიოდა. ყეფა-ყმუილით ძაღლები ყველას თავზარსა სცემდნენ.

დაიშა სოფელი. ქალებმა და ბავშვებმა წივილ-კივილი მორთეს... გაჭირდა ცხოვრება. ზაქარა კი არხეინად დასეირნობდა თავის აივანზე და სოფელს ნიშნს უგებდა.

გულჩათხრობილმა სოფელმა ველარ გაუძლო ზაქარას ძაღლებს და, როგორც იყო, გამკლავება გაბედა.

ერთხელ ერთმა ხელმარჯვე ბიჭმა ისე სდრუზა კეტი ერთ უფრო დაგეშილ ძაღლს, რომ იქვე ფეხები გასჭიმა. დანარჩენი ძაღლები დაფრთხნენ და ისე ველარ თარეშობდნენ.

სოფელს გული მიეცა და ახლა ეს მიესია ზაქარას სახლს. განადგურებას, მიწასთან გასწორებას უპირებდნენ.

გულ-გახეთქილი ზაქარა ღრეჯით გადმოდგა აივანზე... სიკვდილის ფერი დასდებოდა, შიშისაგან კბილებს აკაწკაწებდა, კანკალებდა.

— ხალხნო, ჯამაათნო!—ამოიკნავლა ზაქარამ—მე უთქვენოთ ღმერთმა ერთ დღესაც ნუ მაცოცხლოს. აბა, რად გაბოროტებულხართ... ვფიცავ მამიჩემის სულს, დღე და ღამ სულ იმასა ვფიქრობდი, როგორ დაგმეგობრებოდით. თქვენ კი აზავთებულხართ, დაგვიწყებიათ ჩვენი ურთიერთობა... ღმერთი, რჯული, კარგი კაცი ვარ... დამაცადეთ, სული მომაბრუნებინეთ, ყველას გასიამოვნებთ... წიწინებდა ზაქარა.

— ხი, ხი, ხი! ხა, ხა, ხა! ხითხითებდა ზაქარას ზურგს ამოფარებული მოურავიც.

მოგეხსენებათ სოფელი უპიროა. მალე გატყდება თუ კილო უპოვე, ჰანგი აუღე.

ასე მოუვიდათ ჩვენ სოფლელებსაც. ბევრს შეეცოდა ზაქარა, ბევრს შეებრალა, ბევრმა კიდევ დაუჯერა ზაქარას ლათაიებს და წელ წელა დაიშალა, თუმცა ზაქარას მტკიცე პირობა ჩამოართვა, რომ მომირიგდებოდა.

მართლადაც, ბევრ დროსა და ჟამს არ გაუვლია, რომ შემდეგი პირობის წერილი მომივიდა.

„მე, ქვემორე ამისა ხელისა მომწერელი ზაქარა, გიცხადებთ შენ და შენთან ერთად მთელ სოფელს შემდეგს: ვყოფილვარ რა ყოველთვის გულ-კეთილი, ხატისა და ჯვარის მავედრებელი, ღვთის მოშიში და კაცის მოხათრე, ამიერიდან ნებას გაძლევ იარო ხოლმე შენს ვენახში. მაგრამ უნდა იარო ბილიკებზე, ვაზებში შესვლის ნება არა გაქვს, ვინაიდან ვაზები და ყურძენი ჩემია. ადვილი შესაძლებელია, რომ დამკრახულმა მტევნებმა თვალი მოგტაცოს, მოგიტყუოს და თავი მოგაწყვეტინოს, მაგრამ თუ ასეთი საქმე ჩაიდინე—იცოდე ცოცხალი ველარ გადურჩები ჩემ მებაღეს, რომლისთვისაც ნაბრძანები მაქვს თვალ-ყური გადევნოს. ჩემი კანონი—ჩემი ნება და სურვილია, შენ კი არც სურვილი, არც ნება და არც უფლება არ უნდა გქონდეს. ისიც დიდ მოწყალებად ჩასთვალე, რომ ვენახში გიშვებ. გაიარ-გამოიარე, ჰაერი ჩაყლაპე და თვალს წყალი დაალევინე, ამაზე მეტი ბედნიერება კიდევ გინდა შენ, ბიგანოს, ობოლს და ოხერს?!. ამასთანავე ვუბძანებ ჩემს მოურავს ეს წერილი გადმოგცეს შენ და მთელ სოფელსაც შეატყობინოს ჩვენი შერიგების ამბავი. შემეწიოს-მცა ღმერთი ჩემის გულ-კეთილობისათვის და მას ერთსა ვაქებ და ვადიდებ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, ამინ.

მე კი არ ვიცოდი! ზაქარას გაიძვერობა და მისი მოურავის მუხანათობა მეთქი!—გულ მოსულად წამოვძახე და პირობის წერილი სოფლის ყრილობას წარუდგინე.

სოფელი კი ჯერ ისევ სდუმს... ფიქრობს... ყოყმანობს.

იფიქრე, იფიქრე, უბედურო სოფელო, ალბად დამცირების ღირსი ვართ, რომ აგრე მასხარად აგვიგდო უსინდისო ზაქარამ!..

ია ეკალაძე.

ხალხი და სკოლა

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ადამიანი სხვისაგან დაბრიყვებულია, ყოველ მოქალაქეობრიობას მოკლებული მონაა, რომ სოციალური პირობები შექმნილია მის საჯიჯგნად და რომ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ვერ გრძნობს თავის

სამხედრო წესები შემოღებულ იქმნა:

21 თებერვალს, ქუთაისის გუბერნიის 3 მაზრაში და ბათომის ოლქის ერთ მაზრაშიაც.

25 თებერვალს ქ. ბაქოსა და ბაქოს გუბერნიაში.

11 ივნისს ქ. ლოძში და ლოძის მაზრაში.

15 ივნისს ქ. ოდესაში და ოდესის მაზრაში.

16 ივნისს ქ. ერევანში, სევასტოპოლში და ნიკოლაევში, მას შემდეგ ფეოდოსიაში, ტფილისში და ტფილისის გუბერნიაში და ივანოვო-ვოზნესენსკში.

12 დეკემბრის ბრძანება ეხებოდა ცენზურას და აცხადებდა, რომ უნდა მოისპოს პრესსის „ზედმეტი შევიწროება“.

ამაზედაც ცალკე კომისია დაარსდა და ამ კომისიაში მიიპატიჟეს რამდენიმე პირი, რომელიც ცენზურის მომხრედ ითვლებოდა; ამის მიუხედავად კომისიამ მაინც მოწყალების თვალით შეხედა პრესსას, თუმცა იმ თავითვე ეტყობოდა, რომ პრესსის მდგომარეობის მხოლოდ შემსუბუქება უნდათ და არა ცენზურის მოსპობა და პრესსის განთავისუფლება. კომისიამ საქმე გააგრძელა, რამდენსამე თვეში ვერ დაასრულა მისი შემუშავება, შემოდგომამდის გადასდო საქმე. და, სანამ ეს კომისია საქმის წვრილმანებს იკვლევდა და პრესსის სასარგებლო გადაწყვეტილებას ამზადებდა, პრესსის მდგომარეობა უცვლელ რჩებოდა. სამინისტრო სასტიკად სჯიდა გაზეთებს.

ნახევარი წლის განმავლობაში დასჯილი შეიქმნა შემდეგი გამოცემები.

ცალკე ნომრობით ვაჭრობა აეკრძალა შემდეგ გაზეთებს: „რუსსკია ვედომოსტი“, „რუს“, „ვეჩერნაია პოჩტა“, „რუსსკოე სლოვო“.

განცხადებების ბეჭდვა აეკრძალა გაზეთს „სარატოვსკი დნევნიკ“-ს.

ცირკულიარების დარღვევისათვის შეჩერებულ იქმნა 1 თვით ,,რუს'', ,,ვეჩერნაია პოჩტა'', ,,სლოვო'' და 2 თვით ,,ნოვოსტ''.

გაფრთხილება მოუვიდა:

პირველად გაზეთებს: ,,ვეჩერნაია პოჩტა'', ,,სლოვო'', ,,რუსსკოე სლოვო''.

მეორედ გაზეთ ,,ნაშა ჟიზნ''-ს.

მესამედ, 3 თვის ვადის შეჩერებით, გაზეთებს: „ნაშა ჟიზნ“ და „ნაში დნი“.

7 ივლისს სამი გაზეთი დაისაჯა ერთად: გაზეთი „სლოვო“ შეჩერებულ იქმნა, პირველი გაფრთხილება მოუვიდა გაზეთებს „რუსსკია ვედომოსტი“-ს და „ნოვოსტი“-ს და ამ უკანასკნელ გაზეთს ცალკე ნომრობით გაყიდვის უფლებაც მოესპო.

ჟურნალ „რუსსკაია მისლ“-ის ორი უკანასკნელი ნომერი დაიჭირა ცენზურამ.

მეტად საგულისხმოა გაზეთ „მოსკოვსკაია ნედელია“-ს ამბავი. რედაქციამ სამი ნომერი დაბეჭდა და სამივე ნომერი ცენზურისაგან დაჭერილ იქმნა; გამოცემა დროებით შეჩერდა. რედაქტორს თავად ს. ნ. ტრუბეცკოის ცენზურა სამართალში მიცემას ემუქრებოდა, მაგრამ პროკურორმა გაზეთის რედაქტორის მოქმედებაში ვერავითარი ბოროტმოქმედება ვერ აღმოაჩინა, ისე რომ ცენზურის ყველა განკარგულება ამ გაზეთის შესახებ უკანონო გამოდგა.

ამას გარდა, რუსეთის სხვადასხვა კუთხეში ადგილობრივმა ბიუროკრატიამ რამოდენიმე დროგამოშვებითი გამოცემა აკრძალა.

განსაკუთრებით საძნელო და აუტანელი იყო პროვინციალურ, ადგილობრივ გაზეთების მდგომარეობა. ადგილობრივი ცენზორები ნებას არ აძლევდენ სხვა გაზეთებიდან გადიბეჭდეთ რამე, ხშირად ოფიციალურ გაზეთებიდან რისიმე გადაბეჭდვის უფლებას უსპობენ. პროვინციალურ გაზეთებში ხშირი, იყო რომ ცენზორისაგან ამოშლილ ადგილებში ცარიელი ადგილი რჩებოდა დაუბეჭდავი, ან რომ შიგ შუა გაზეთში ამოშლილ წერილის მაგიერად რამე განცხადება იბეჭდებოდა.

წიგნებზედაც ცენზურა თავის სიმკაცრეს იჩენდა. საზოგადოდ ცენზურა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მთავრობის განზრახვას—მოისპოს პრესსის ზედმეტი შევიწროვებაო. თვითნებობა და სიმკაცრე არ მოსპობილა,—ბიუროკრატია კი აღარ უცდიდა კომისიის გადაწყვეტილებას და ახალ საცენზურო კანონებს სცემს და, ზედმეტ შევიწროვების მოსპობის მაგიერად, ახალი შევიწროვება შემოჰქონდა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ხალხის ნამდვილ წარმომადგენლობის მომხრე ბიუროკრატია ასეთი არ ექცეოდეს პრესსას, რომლის თავისუფლება წარმომადგენლობის დასამყარებლად აუცილებლად საჭიროა.

ბიუროკრატიას შეგნებული არა ჰქონდა რეფორმების ნამდვილი მიზანი. ზემო ჩამოთვლილი სხვადასხვა განკარგულება კანონიერების, სარწმუნოებრივ თავისუფლების, გაძლიერებულ დაცვის წესების, ცენზურის, ადგილობრივ თვითმართველობის შესახებ აშკარად იჩენს ბიუროკრატია სარეაქციო ტენდენციებს.

მდგომარეობას, არ იტანჯება, კრიტიკის თვალით არ უცქერის თავის დამღუპველ პირობებს,—მას აკლია საჭირო შეგნება.

შეიძლება, დღესაც მოიპოვებოდეს ჩვენში არა ერთი ასეთი ადამიანი,

ვისაც კი ადამიანობის ნატამალი შერჩენია და ადამიანური არსებობა ესმის, არა როგორც სრული დაცემულობა, ის აუცილებლივ იგრძნობს სულის შემხუთველ, პირობების აუტანლობას. ხოლო ამის შეგნება უსათუოდ გამოიწვევს მასში ახალი ცხოვრების შექმნის მისწრაფებას.

დღევანდელი სოციალურ ცხოვრების მოწყობილობა ისეთია, რომ იგი სავსებით იცავს გონებრივ შევიწროებას, საზოგადოდ კულტურულ დაბეჩავებას...

დღეს ჩვენში, სხვათა შორის, სკოლაზედაც ლაპარაკი დაიწყეს. ძნელი წარმოსადგენია, როგორც პიროვნებისთვის, ისე საზოგადოებისთვის სისასტიკის გამომხატველი ისეთი დაწესებულება, როგორიც დღემდის სკოლა ყოფილა ჩვენში. ოციოდე წლის შემდეგ, ახალ პირობებში აღზრდილები ვერც კი წარმოიდგენენ ტანჯვა-წვალებათა სისტემას, რომელიც ყოველ მოზარდს უნდა გამოევლო სკოლაში.

სკოლა საზოგადოებრივი აღზრდის დაწესებულებაა. მას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის, რომ საზოგადოება დიდის ყურადღებით უნდა მოეპყრას სწავლების რიგიანად მოწყობას. ვინც ახალ თაობის აღზრდაზე ჯეროვნად არ ზრუნავს, ის ადამიანი ვერ ემსახურება მომავალს.

პირველი საკითხი, რომელიც სასკოლო საქმეში უნდა გადასწყდეს, არის: ვის ხელში უნდა იყოს სასკოლო საქმე? ცხადია, ყოველი საზოგადოებრივი დაწესებულება საზოგადოების ხელშივე უნდა იყოს და ამიტომაც სკოლები საზოგადოებრივ დაწესებულებათა ხელში უნდა გადავიდეს უთუოდ. მაგრამ საზოგადოებრივ აღზრდის საქმე მხოლოდ მაშინ შეიძლება საღ ნიადაგზე დადგეს, როცა საერთოდ სხვანაირად მოეწყობა საზოგადოებრივი ცხოვრება. შეუძლებელია ძველ პირობებში აღზრდის ახალი სისტემის შექმნა, შეუძლებელია ანტისაზოგადოებრივ პირობებში საზოგადოების მოთხოვნილების თანახმად იმოქმედოს ადამიანმა...

საუბედუროდ, ზოგიერთს ეს საანბანო ჭეშმარიტება ავიწყდება, ადვილად სტოვებენ განზე ხალხის რეალურ მოთხოვნილებას და დიდის მოწიწებით ეგებებიან მათგან გადმოსროლილ მოწყალების ნამცეცებს. ეს არიან კუდ-მოკვეცილ უფლებების მომხრენი, ნახევარ ზომების მოტრფიალენი... ჩვენ კი უნდა ვეცადოთ მთელი ჩვენი იდეალი განვახორციელოთ სავსებით. ჩვენი სკოლა სავსებით ეროვნული უნდა შეიქნეს.

ბიუროკრატიამ შექმნა სასწავლებლების ისეთი ტიპები, რომ უბრალო ხალხი, უმრავლესობა, მოსწყვიტა შეძლებულ უმცირესობას, შექმნა ისეთი სახალხო სკოლები, რომ უბრალო ხალხის შვილებს მოუჭრა გზა სწავლის განგრძობისაკენ. ეს წესი ძირიანად უნდა მოისპოს. აღზრდის საქმეში ყველა მოქალაქე უნდა გათანასწორდეს. ამიტომ სასწავლებელიც უნდა მოეწყოს ისე, რომ ყოველ მოწაფეს შეეძლოს დაბალი სკოლიდან დაწყებული შეუფერხებლად დაამთავროს უმაღლესი სასწავლებელიც. უნდა მოისპოს სკოლის ორგანიზაციაში ყველაფერი, რასაც აღზრდის საქმეში შემოაქვს მონოპოლია. ამიტომ ახალი სკოლის პროგრამა ისე უნდა იქმნეს შემუშავებული, რომ საშუალო სკოლა დაწყებით სკოლის გაგრძელებას წარმოადგენდეს, რომ დაწყებით სკოლიდან ბავშვი პირდაპირ საშუალო სკოლაში გადადიოდეს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწავლების საფუძველი ორივე სკოლაში დედა-ენა იქნება. ბევრს რაღაც მიზეზით ეშინიან ამისი. როგორ თუ საშუალო სკოლაშიაც დედა-ენაზე იქნება მოწყობილი სწავლაო? მე კი უფრო შორს მივდივარ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი, რომელსაც ისეთი ძლიერებით გაეხსნა წინსვლის სურვილი, რომელმაც, საზოგადოებრივ შეგნების მხრივ, წარსდგა წინ ასეთი საოცარი ნაბიჯი,—მხოლოდ დაწყებით სასწავლებლით არას დროს არ დაკმაყოფილდება. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში დაარსდება სახალხო უნივერსიტეტები, სადაც ხალხი უმაღლეს სწავლასაც დაეწაფება, და იქ სწავლა მოწყობილი იქნება დედა ენაზე.

საუბედუროდ, დღესაც ბევრი გულგატეხილია და მომავლის იმედი არა აქვს. მაგრამ ავიწყდებათ, რომ ჩვენი ხალხი თავის კულტურულ განვითარებისათვის არაფერს ისეთს არ ითხოვს, რაც ეწინააღმდეგებოდეს ჩვეულებრივ დემოკრატიულ მოთხოვნილებას. ცხადია, გაბატონებულ ერის დემოკრატია არ მოისურვებს სხვა ხალხი დაბეჩავოს და დაჩაგროს და პირიქით დემოკრატიულ მისწრაფებაში ჩვენი მოკავშირე იქნება ყოველთვის. ამ დემოკრატიის ინტერესია მოსპოს ყოველგვარი დაბეჩავება, რადგან ნამდვილი თავისუფლება და ძმობა სხვა გზით არ შეიძლება.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ჩვენ შეგვიძლია სულით, საზოგადოებრივი მისწრაფებით ძლიერნი ვიყოთ. ვინც თავის თავის სიმართლეში დარწმუნებულია, ვინც დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან მისი მისწრაფება განხორციელდება, იმას ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაჩერებს.

ჩვენ უნდა წამოვაყენოთ კულტურულ არსებობის პირობები უკლებლივ, ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონით უნდა ვეცადოთ, რომ სრულიად მოვიპოვოთ კულტურულ განვითარებისთვის საჭირო პირობები.

თუ ავყევით მორჩილების მოწყალების მოლოდინს და თუ ჩვენის ძალღონით საქმის განხორციელებას არ შევუდექით ახლავე, ამით არც არაფერს მივიღებთ და დავამტკიცებთ მხოლოდ, რომ არაფრის ღირსიც არა ვყოფილვართ.

პ. სურგულაძე.

რუსეთი

სახელმწიფო სათათბიროს კრებები, სანამ ახალ შენობას ააშენებდენ, მოხდება გატჩინის სასახლეში, პეტერბურგის მახლობლად (პ. გ).

◆ ოთხი თვის გაფიცვის შემდეგ, ფინანსთა მინისტრმა ძლიეს ძლიობით შეარიგა ივანოვო-ვოზნესენსკის მუშები (40,000 კაცი) და მეფაბრიკენი. ახლა მუშებმა ხელმეორედ წარუდგინეს მეფაბრიკეებს ახალი მოთხოვნილება—ქარხნებიდან ზოგიერთ ხელოსნებისა და **ენატანიების გაძევება**. მეფაბრიკენი ცივ უარზე არიან და იმუქრებიან: თუ არ დაწყნარდით, ფაბრიკებს დავკეტავთ და წავალთო (რ. ვ.).

◆ ეს სამი დღეა, რაც **კერჩში რაღაც ამბები ხდება**. გაზეთებში დაბეჭდილია ზოგიერთი ცნობა იმის შესახებ, რომ კერჩის მახლობლად მდებარე ქალაქები კერჩიდან გამოქცეულ ებრაელებით გაივსოო (რ. ს.).

◆ მას შემდეგ, რაც რუსეთის ფლოტი დაეღუპა, 78 ადმირალი უსაქმოდ დარჩა. მაგრამ საზღვაო სამინისტროს ამათთვისაც საქმე გამოუძებნია. ,,რუსი'' იუწყება: ადმირალებს ისეთი **საქმეები** ჩააბარეს, რომელსაც წინად უბრალო აფიცრები ასრულებდნენო ზოგი ადმირალი ეხლაც უსაქმოდ არის, მაგრამ მაინც ჯამაგირებს იღებენ და საქმეს ელიან (რ.).

◆ ხმა დადის, ამ დღეებში **რუსეთი დიდ ფულს სესხულობს ამერიკაშიო**. ამერიკელები ხელსაყრელ პირობებით იძლევიან ფულს (რ.).

◆ „ტორგ. პრ. გაზ."-ში დაბეჭდილია ერთი კორესპონდენცია, რომელშიაც აწერილია ერთ ამერიკელის მოგზაურობა ნიჟნი-ნოვგოროდში იარმუკის დროს. ამერიკელი **ძალიან განცვიფრებულა** იმის გამო, რომ რუსეთის ვაჭრობაში დღესაც ისეთი წესებია, როგორც აფრიკაში და სხვა ველურ ქვეყნებშიო.

◆ მას შემდეგ, რაც ბალაშოვში ხულიგნებმა და „პატრიოტებმა" საერობო მოღვაწეებსა და ექიმებს სცემეს, დანარჩენმა ექიმებმა სამსახურზე უარი განაცხადეს და წავიდნენ. სარატოვის გუბერნატორმა ზემოხსენებული ექიმები **სამართალში მისცა** გაფიცვისთვის (რ. ვ).

◆ ვილნოს სამხედრო სასამართლომ **ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა** პერსინს, რომელსაც ბოქაულის კურლიანდსკის მოკვლა უნდოდა (რ.).

◆ ნიჟნი-ნოვგოროდში **დაიკეტა სორმოვოს ქარხნები**, სადაც 10,000-მეტი მუშა მუშაობდა (რ. ვ).

◆ იურიევის გერმანულ გაზეთ „ნორ. ცეიტ."-ის 28 ივლისის ნომერში დაბეჭდილია: „**ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო** მკითხველებს ვერ ვაცნობებთ იმ ამბებს, რომელიც რეველსა და რიგაში მოხდა". მეორე დღის ნომერშიაც დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა რეველიდან: „რეველი. **ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო...** და მეტი არაფერი.

◆ კრუშევანისა და გრინგმუტის მეგობარმა, ყირიმის გაზეთის რედაქტორმა ბალაბუხამ ლიტერატურულ „მოღვაწეობაზე" ხელი აიღო და მონასტერში **ბერად შევიდა** (რ. ს.)

◆ 1904 წლის განმავლობაში ევროპის რუსეთის 48 გუბერნიიდან ციმბირში გადასახლებულა 127,828 სული. აქედან წლეულს, 6 თვის განმავლობაში უკანვე, **რუსეთშივე დაბრუნებულა** 21,999 სული. სტატისტიკოსები ამბობენ, წლის დამლევამდე კიდევ ორი ამდენი დაბრუნდებაო (ნ. ჟ.).

◆ 2 აგვისტოს სევასტოპოლში სამხედრო-საზღვაო სასამართლომ გაიხილა საქმე **ჯავშნოსან „სინოპ"-ზე მომხდარ აჯანყების შესახებ**. სასამართლომ ვერ გამოარკვია, ვინ იყო აჯანყების მოთავე. 5 მატროსი გაამართლეს, 11—დისციპლინალურ ბატალიონში გაგზავნეს ორიდან სამ წლამდის (რ. ს.).

◆ იმავე სასამართლომ განიხილა **საქმე ჯავშნოსან ,,გიორგი პობედონოსცევ''-ზე მომხდარ აჯანყების შესახებ**. სამართალში მიცემული იყო 78 კაცი. განაჩენი ჯერ არ ვიცით (რ. ვ.).

◆ 29 ივლისს იმავე სასამართლომ განიხილა **საქმე სამხედრო გემ ,,პრუტზე'' მომხდარ აჯანყების შესახებ**. 5 კაცს დახვრეტა გადაუწყვიტეს, დანარჩენი—ზოგი უვადოდ კატორღაში გაგზავნეს, ზოგი—20 წლით. პროკურორი ამ განაჩენით არ დაკმაყოფილდა, საქმე უმაღლეს სამხედრო სასამართლოში გადაიტანა და დანარჩენების დახვრეტაც მოითხოვა (რ. ს.).

◆ ამჟამად სევასტოპოლის სამხედრო საპყრობილეში **დამწყვდეულია 1000-ზე მეტი მატროსი**, რომელთაც აჯანყება ჰბრალდებათ (რ. ს.).

◆ ლიბავისა და კრონშტადის სამხედრო საპყრობილეში **დამწყვდეულია რამდენიმე ასი მატროსი**. ამათაც აჯანყება ბრალდებათ (რ. ვ.).

◆ ოდესაში გრადონაჩალნიკის კანცელარიის მოხელემ თავადმა წულუკიძემ ხანჯლით **დასჭრა** ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი იავორსკი. (რ. ს.).

◆ ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, ოდესის გენერალ გუბერნატორის ყარანგოზიშვილის განკარგულებით, **ცივ გუბერნიაში იქმნა გადასახლებული** (რ. ს.).

◆ ამჟამად პეტერბურგში იმყოფება იალუს განთქმული კონცესიონერი, სტატს-სეკრეტარი **ბეზობრაზოვი**, რომელიც **ჩაკეტილში** ზის და არავის ეჩვენება. თუ ვინმე მოვიდა მასთან, მსახური არ უშვებს და ეუბნება, „მათი აღმატებულება საზღვარ გარედ იმყოფებაო" (რ. ს.).

◆ ნოვოგოროდის გუბერნიაში საერობო უფროსებმა გლეხებს შეატყობინეს, თუ ლიბერალური გაზეთები წაგიკითხავთ, **სასტიკად დაისჯებითო** (რ.).

◆ ივლისის გასულს, ეკატერინოსლავში მომხდარ არეულობის დროს, **დაიჭრა და მოკლულ იქმნა 25 კაცი** (პ.).

◆ სევასტოპოლში აჯანყებული მატროსები 1000 კაცი გემზე არიან დაპატიმრებული. საპყრობილის ადმინისტრაციამ შეამჩნია, რომ ღამღამობით ქალაქიდან და გემიდან ერთმანეთს **რაღაცა ნიშნებს აძლევენ**; ადმინისტრაციამ შესაფერი ზომები მიიღო (რ.).

◆ ივლისის გასულს გომელში, დემონსტრაციის დროს, ბრაუნინგის რევოლვერით **მძიმედ დასჭრეს** ბოქაული სლოვაშევიჩი (პ.).

◆ ლიბავაში სამმა უცნობმა **მძიმედ დასჭრა** საპოლიციო უბნის ზედამხედველი როიჩინსკი (პ.).

◆ ვიბორგის საგუბერნიო სამმართველოში, სხვა სურათების შორის, ფინლიანდიის განსვენებულ გენერალ-გუბერნატორის სურათიც ეკიდა. მერე ეს **სურათი სადღაც დაიკარგა**. გუბერნატორმა ბრძანება გასცა, უეჭველად იპოვეთ სურათიც და ქურდიცაო, მაგრამ პოლიციამ ვერც ერთი იპოვა და ვერც მეორე (პ.).

◆ რეველში ერთ ღამეს **დააპატიმრეს** 40 ქალი და კაცი, რომელთაც პოლიტიკური დანაშაული ბრალდებათ (პ.).

◆ ,,იუჟ. ზაპ''-ის მდივანი, ჟურნალისტი მარკოვანი, ოდესის გენერალ-გუბერნატორს ყარანგოზაშვილის ბრძანებით, ოლონეცის გუბერნიაში გადაასახლეს (პ.),

◆ ბრიანსკში ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფეს შირიაევს **საიდუმლო სტამბა** აღმოუჩინეს (რ, ს.).

◆ ამ დღეებში მოსკოვის მახლობლად, ერთ სოფელში პოლიციამ **ანარქისტების** სადგომი აღმოაჩინა. ანარქისტებმა სროლა დაუწყეს, მაგრამ მაინც შეპყრობილ იქმნენ. ყველანი სახედრო სამართალს გადასცეს (პ.).

კორესპონდენცია

აფხაზეთი. უკანასკნელ თვეების განმავლობაში სოხუმის ოლქში მეტის მეტად გავრცელდა ავკაცობა.

ქალაქ სოხუმს ხომ ყოველ მხრიდან მოაწყდა ახალ მოძრაობის ძალით ფრთა შეკვეცილი, სხვის ქონებით გამდიდრების წყურვილით შეპყრობილი რაინდობა, რომელნიც უტიფრად და წარბ-შეუხრელად, დღისით-მზისით, პოლიციის თვალ-წინ, შიგ შუა ქალაქში, სძარცვავდნენ გამვლელ-გამომვლელთ. მცხოვრებიდან გამოსულმა ხალხმა ადმინისტრაციას შეუთვალა: რადგანაც აღარ შეგიძლიან, ან და აღარ გინდა დაგვიფარო ბოროტ-კაცთა კლანჭებიდგან, ამიტომ ჩვენ ჩვენის ძალ-ღონით გავუმკლავდებითო. მართლაც, სიტყვა საქმედ აქცია. ოცდაათ კაცამდე ბოროტ-მოქმედი დაიჭირა, მაგრამ კი ვეღარ გაასამართლა...

დაბა ოჩამჩირემაც სოხუმს მიჰბაძა და კიდეც გაუსწრო: შესამჩნევად აღაგმა სხვისი ქონების მოტრფიალე ვაჟბატონები.

სოფლად კი ჯერ ისევ აუწერელი ქურდობა-ავაზაკობაა გავრცელებული. მეტის მეტად ცუდადაა საქმე კოდორის ნაწილში. აქ, შარა გზაზე, ქურდების შიშით კაცს არამც თუ ღამით, დღისითაც ვეღარ გაუვლია. მუშა კაცს უკანასკნელი პირუტყვიც აღარ დაუტოვეს. ქვრივ-ობოლთა და გაძარცვულთა კივილ-ტირილი ცამდის ადის...

აქ შემდგარა მთელი ბრბო ქურდებისა, რომელსაც ხელმძღვანელობენ ადგილობრივ „ბრწყინვალე წოდების" ცნობილი წევრნი. ამ ბრბომ შეიმუშავა ნიხრიც: მაგალითად, თქვენ მოგპარეს ცხენი,—ბრბოს წევრი-დალალი მოდის თქვენთან, გპირდებათ ცხენის მოყვანას, თუ „გასამჯელოს" მიართმევთ. აი ნიხრი „გასამჯელოსი". ცხენის მოყვანა—30 მანათი, კამეჩისა—20 მანათი, ხოლო ხარისა—10—15 მანათი. ქურდებმა ერთი კეთილშობლური თვისებაც გამოიჩინეს: როცა მათ მიერ მოპარულ თქვენს საქონელს თქვენვე გიბრუნებენ, თან „მოწმობასაც" გაძლევენ, რომ არავინ მოიპაროს! ფაქტების ჩამოთვლით მკითხველს თავს არ მოვაბეზრებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ იქამდის გაკადნიერდნენ ეს ვაჟბატონები, რომ ერთს კაცს ცოლიც კი მოსტაცეს და მთელი კვირა ტყე-ღრეში ათრიეს.

ასეთი უბედურება დაატყდა ბედკრულ ხალხს. ჩვენი ქებული ადმინისტრაცია ყურსაც არ იბერტყავს: ზის თავისს სავარძელში, ქანაობს და ნიშნის გებით ამბობს: „ესეც თქვენი ერთობაო!" მარჯვედ კი თვალი უჭირავს, რომ ვინმე სერთუკოსანი სოფელში არ გაჩნდეს. ბატონებო, თავს ნუ იწუხებთ: სრული იმედი გქონდესთ ადგილობრივ თავად-აზნაურობისა, რომ ის არ გააჭაჭანებს სოფელში მავნე აზრების მქადაგებელს!

ჩვენი ადმინისტრაცია ერთში კი სიყოჩაღეს აჩენს: თუ ვინმე ხალხის დამცველად დაყენებულს „სტრაჟნიკს" მოჰპარეს ცხენი, აგრეთვე ვინმე კოლონისტს, მაშინ „პრიკაზი" „პრიკაზს" მოსდევს, ახლავე სოფელს გადაახდევინეთ და დააკმაყოფილეთ „სტრაჟნიკი", თუ „კოლონისტიო".

აფხაზთა შორის, სადაც ეპიდემიური ავადმყოფობა გავრცელდა, ამ ავადმყოფობას, თუ კი მას ავადმყოფობა დაერქმევა, აფხაზნი ეძახიან „აგვირდაირა" (მხიარულება), და უმეტესად ახალგაზდა ქალებს ემართებათ. ვის ოჯახშიაც ის გაჩნდება, სანამ ავადმყოფი არ მორჩება, ცეკვა-თამაში და მხიარულებაა. თვით ავადმყოფიც, სანამდის ღონე მიხდილი მიწად არ მიეგდება, ცეკვა-თამაშში და სიმღერაშია, თან სულ ღმერთს ევედრება, ცოდვები მაპატიეო. ავადმყოფობა რომ უვლის, ავადმყოფი მოჰყვება ხოლმე თვალების ბრიალს, კედელს ებღაუჭება, იგრიხება ფილენჯიანივით სულ მარჯვნივ ტრიალებს და თან მღერის ერთგვარ სიმღერას, მხოლოდ ამ შემთხვევაში ხმარებულს. ბევრი მათგანი წინასწარმეტყველობასაც ჩემულობს. სამწუხარო ისაა, რომ ეს ავადმყოფობა სამაგალითო სისწრაფით ვრცელდება. მისი წამალი ერთად-ერთია: ზვარაკით უნდა მოულბოს მაზე გამწყრალ ღმერთს გული! ვინც გაიგონებს და არ მოვა ავადმყოფთან, მასაც დაემართებაო. ავადმყოფის ოჯახის წევრთათვის აკრძალულია ყოველგვარი მუშაობა, სანამდის ავადმყოფი მორჩებოდეს, რის გამოც ბევრს ყანები დაუთესავი დარჩა, ბევრს დაუმარგლავი.

რაც უნდა იყოს, ეს ავადმყოფობა მაინც ღირსია ექიმების შემოწმებისა, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ აქაური ექიმები ღარიბ ხალხისთვის თავს არ იწუხებენ, ან სად სცალიათ სიამთოდ, როცა ბანქოსათვის თავი ვერ დაუნებებიათ!

აქეთ ყვავილიც ძალიან მძვინვარებს.

ალი მურზა-სელიმ-ოღლი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ წერილს ადგილი მისცეთ.

წარსულ ივლისში მე ამომარჩიეს სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარედ. ჩემს გარდა, მედიატორებად აირჩიეს ოთხი კაცი. სასამართლოს უნდა გაერჩია ქ. ფოთში ბ.ბ. სახოკიას და ჩხიკვიშვილის საქმე, გურულ და მეგრელ მუშათა უთანხმოებით გამოწვეული. საქმის გარჩევა დაიწყო 6 აგვისტოს. გარჩევას დიდძალი ხალხი დაესწრო. როგორც შემდეგში აღმოჩნდა, თითქმის მთელი დამსწრე საზოგადოება ორ პარტიად იყო დაყოფილი: ერთი ბ. სახოკიას უჭერდა მხარს და მეორე—ბ. ჩხიკვიშვილს. თანდათან ამ ორ პარტიათა ურთიერთობა გამწვავდა, და, როდესაც სასამართლო ბ. ჩხიკვიშვილის მოწმის შეკითხვას შეუდგა, გარედან გაისმა ყვირილი და მუქარა ამ მოწმის მიმართ. შემდეგ ხალხი ფანჯრებიდან ოთახში შემოვარდა და ყველაფერი აირ-დაირია. ამ არეულობის დროს. ბ-ნ ჩხიკვიშვილის მეორე მოწმეს შეურაცხყოფა მიაყენეს მოქმედებით. სასამართლომ ჯერ შესწყვიტა და შემდეგ დახურა სხდომა.

ამრიგად სამედიატორო სასამართლომ, მისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ვერ დაამთავრა ის საქმე, რომელიც მას მინდობილი ჰქონდა.

ზემოხსენებულ გარემოების გამო, მე შეუძლებლად ვსთვლი ჩემდა-თავად მონაწილეობა მივიღო სამედიატორო სასამართლოში და ამიტომ, ვიხდი-რა ბოდიშს ბ. ბ. სახოკიასა და ჩხიკვიშვილის წინაშე, უარს ვაცხადებ თავმჯდომარეობაზე.

უმორჩილესად ვსთხოვ ,,ცნობის ფურცლისა'' და ,,მოგზაურის'' რედაქციებს ეს ჩემი წერილი გადაბეჭდონ.

ნაფიცი ვექილი **ვასილ ალექსანდრეს ძე დემიდოვი**
10 აგვისტო 1905 წ.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

10 აგვისტო.

ბერლინი, 9 აგვისტო. ვიტტემ „ლოკალ-ანცეიგერის'' კორესპონდენტს შეატყობინა, ტყუილია, ვითომ რუზველტმა წინადადება მისცა მას, მედიატორად დაგიდგებიო. ტოკიოში დარწმუნებული არიან, რომ კონფერენცია უნაყოფოდ ჩაივლის.

პეტერბურგი. ჟანდარმის პოდპოლკოვნიკის კრამარენკოს მკვლელის პროკოპეს საკასაციო სჩივარი უყურადღებოდ დასტოვეს.

კრემენჩუგი. ,,იუჟნოე სლოვო'' იუწყება, ლიხოვკაში სავაჭროდ წასული ვაჭრები დასახიჩრებული დაბრუნდნენ. ერთს ყურები აქვს მოჭრილი, ზოგიერთი სასიკვდილოდ არის დაჭრილი. ლიხოვკაში კაზაკები ჩავიდნენ.

ტომსკი. ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში 16 აგვისტოს გამოცდები დაიწყო, მთხოვნელი 316 არის, თავისუფალი ადგილი—300.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტი ვიცე-ადმირალი დუბასოვი თავის თხოვნისამებრ დათხოვნილ იქმნა საზღვაო სატეხნიკო კომიტეტის თავმჯდომარეობიდან, გენერალ-ადიუტანტის ხარისხი კი ისევ შერჩება. 9 აგვისტოს შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობები არ მოსულა.—სახელმწიფო სათათბიროს დაარსების შესახებ მოსკოვიდან გაგზავნილ დეპეშის პასუხად მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა დურნოვომ, 7 აგვისტოს, ხელმწიფისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „გადაეცით პირველ სატახტო ქალაქ მოსკოვს, რომ დიდად მასიამოვნა მის მიერ გამოთქმულმა გრძნობამ. შეისმინოსმცა ღმერთმა ვედრებანი რუსებისა და მისცეს მათ ძალნი სახელმწიფო სათათბიროში სამოღვაწეოდ''. გენერალ-გუბერნატორის დეპეშა ასეთი იყო: ,,დღეს პირველ სატახტო ქალაქის კრემლის ზღუდეთა შორის და სხვა ტაძრებშიაც გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი სახელმწიფო სათათბიროს დაარსებისა გამო. გრძნობს რა მხცოვანი მოსკოვი აწ არსებულ დიად ისტორიულ წამს, განართხობს ფერხთა ქვეშე თქვენის უდიდებულესობისას, თვითმპყრობელო ხელმწიფეო, თავის უქვეშევრდომილეს გრძნობას მადლობისას იმის გამო, რომ ხალხს მიანიჭეთ დიადი საკანონმდებლო დაწესებულება''. გენერალ-ადიუტანტი დურნოვო.

გაზეთების სიტყვით შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ჟამად ადგენს კანონ-პროექტს, რომლითაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთ ნება მიეცემათ შეიკრიბნონ და განიხილონ ხოლმე ეს თუ ის საკითხი სახელმწიფო წესწყობილებას შესახებ. ამ კანონ-პროექტს დიდი მნიშვნელობა ექნება, მით უმეტეს, რომ გაუქმებულ იქმნა 18 თებერვლის ბრძანება. აზრადა აქვთ ამ კანონ პროექტს საფუძვლად პრუსიის კანონი დაუდონ, რომლის ძალითაც შემოღებულ უნდა იქმნას გამოცხადებითი სისტემა (явочная система). სექტემბერში ამ პროექტს სამინისტრო სახელმწიფო საბჭოს წარუდგენს განსახილველად.—ოისტერბეიდან მოვიდა მიფრიანი დეპეშა რუზველტისა, რის გამოც შეერთებულ შტატების ელჩი 9 აგვისტოს [illegible] ში მიდის სოლსკის თავმჯდომარეობით დაარსებული განსაკუთრებული რჩევა, სხვათა შორის, განიხილავს კავშირების დაარსებისა და სახელმწიფო სათათბიროს წევრთა კანდიდატების დაფასების (კრიტიკის) შესახებ საკითხს.

პეტერბურგი. ქალაქის მოურავის მოადგილე რეზვოვმა წინადადება მისცა გამგეობას, ახლავე შეუდგეს სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ამომრჩეველთა სიის შედგენას. ქალაქის გამგეობას საკანგებო საკრებულოს სხდომა ჰქონდა და გადასწყვიტა, მოითხოვოს კრედიტი ამომრჩეველთა სიის შესადგენად და დასაბეჭდად. სულ მოითხოვეს 50,000 მან. რადგანაც 6 აგვისტოს გამოცემული კანონი არ უჩვენებს ვინ უნდა დაფაროს ამომრჩეველთა ორგანიზაციის შესადგენად საჭირო ხარჯები, ქალაქი თუ ხაზინა, გამგეობამ ჯერჯერობით ეს ხარჯი ქალაქს შეაწერა, იმ იმედით რომ ხაზინა შემდეგში ამ ხარჯს აუნაზღაურებს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: i) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. წ. ს. (11 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ).

განცხადებანი

ახალი წიგნი —
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგს ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის" კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება".
ქუთაისი: ამხ. „კოლხიდა", ვ. ბექანეიშვილის წიგნის მაღაზია და ქუთ. წიგ. გამ. ამხანაგობის კიოსკი.
ბათუმი: „ამხ. გეორგია".
ფოთი: ლ. ახობაძე.
ოზურგეთი: ვ. ს. ხუნდაძე
ჭიათურა: ირაკლი დეკანოზიშვილი
გორი: მიხეილ არჩვაძე.
ახალციხე: ს. ე. ღვთისავარიშვილი.
ახალ-სენაკი: იოსებ ციბაძე.

ხუთი ახალი წიგნი
წიგნის მაღაზია ,,ცოდნა''-ს გამოცემა
სამშობლოსათვის თავდადებულნი . 40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში . 20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა . 20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი . . . 10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა. 20
დარბაზის კედლისად მოსართავი სურათები:
შოთა რუსთაველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 43 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.
და სხვა ყოველგვარი წიგნები.
მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა".
სოსიკო მერკვილაძე. (20—17)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 10 Августа 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5